ხვალ გაიხსნება საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობა

# მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 მარტი კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 55 (15268)


თანამედროვე პირობებში სულ უფრო იზრდება კომკავშირის როგორც მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდასა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში პარტიის რეზერვისა და უახლოესი თანაშემწის როლი და მნიშვნელობა. კომკავშირის ცენტრალური ამოცანაა აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნისტური იდეურობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის სულისკვეთებით, ახალგაზრდობაში აქტიური პროპაგანდა გაუწიოს სოციალისტური წყობილების მიღწევებსა და უპირატესობებს. მიაღწიოს, რომ თვითეული ახალგაზრდა იყოს ახალი საზოგადოების აქტიური მშენებელი. კომკავშირმა უკეთ უნდა გამოიყენოს მინიჭებული შესაძლებლობანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ქალიშვილებისა და ვაჟუკების ფართოდ ჩაბმისათვის. საჭიროა კვლავაც მტკიცედ ვზრდოდეს პარტიული ბირთვი კომკავშირულ ორგანიზაციებში.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

## ჩვენი კომკავშირი

ჩვენ სამოცდაათიანი წლების კომკავშირელები ვართ... და ჩვენი ფიქრები, მისწრაფება, ცოდნა და ენერგია მთლიანად ეკუთვნის ამ წლების სასწაულებს, მშობლიური პარტიის გრანდიოზულ ამოცანებსა და საქმეებს! — ეს მშვენიერი სიტყვები ნამდვილი ფიცივით გაისმა საქართველოს კომკავშირის წინა, XXVIII ყრილობაზე.

მას შემდეგ ორმა წელმა განვლო. და თუ ერთი წუთით წარმოვიდგენთ, რომ ისეთ სიმაღლეზე ავედით, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ეს ორწლეული, ყველგან დავინახავთ ჩვენი ახალგაზრდების ვაჟკაცურ ნაბიჯებს, მათი კუნთმაგარი მარჯვენის შემართებასა და ძალას, მათი ნათელი გონების კეთილ ნამოქმედარს.

საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობაც, რომელიც ხვალ შეუდგება მუშაობას, სწორედ ამ პერიოდში გაწეულ საქმიანობას შეაჯამებს, განაზოგადებს იმ მდიდარ და საყურადღებო გამოცდილებას, რომელიც ჩვენმა კომკავშირმა შეიძინა.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენებითა და ამბებით იყო აღსავსე განვლილი ორი წელი. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეც.

როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ისე საქართველოს ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, ახალი ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა ვადამდე და წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლა ყოველდღიურ საზრუნავად, როგორც იტყვიან, სისხლხორცეულ საქმედ იქცა. ვინ მოსთვლის იმ დიდ საქმეებს, იმ მრავალ ინიციატივასა და თაოსნობას, რაც კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებში იბადება და ჩნდება, რაც კიდევ უფრო ამრავლებს ჩვენი ახალგაზრდა თაობის წვლილს რესპუბლიკის მშრომელთა საერთო წარმატებებში.

ერთ-ერთი საუკეთესო ინიციატივა იყო დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობათა ახალგაზრდობის რესპუბლიკური შრომითი ესტაფეტა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობასა და საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავის იუბილეს მიეძღვნა.

როგორც ცნობილია, ძალზე საინტერესო, მდიდარი და ღრმაშინაარსიანია ჩვენი რესპუბლიკის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. ამ ტრადიციებზე აღიზარდნენ მილიონობით ჭაბუკები და ქალიშვილები. კომკავშირული ორგანიზაციები პარტიული ორგანიზაციების მუდმივი მზრუნველობითა და დახმარებით აქტიურად იყენებენ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა და კოლმეურნეთა მდიდარ გამოცდილებას. სწორედ ამას ემსახურება შრომითი დინასტიების დღესასწაულები, პროფესიული ოსტატობის კურსები, საინტერესო შეხვედრათა საღამოები, სახელობითი ინსტრუმენტების საზეიმოდ გადაცემა და სხვა ღონისძიებანი.

საქართველოში ფართოდ გავრცელდა თბილისელი მრთველის მზია არათანაშვილისა და რუსთაველი მძახავის ელენე კოწიაშვილის თაოსნობა **„ხუთწლედის დავალება შევასრულოთ ოთხ წელიწადში!“**. ამ შესანიშნავი თაოსნობის ავტორები კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატები არიან.

კომკავშირული ყრილობის დელეგატებად არჩეული არიან აგრეთვე სახელოვანი მეჩაიე ქალიშვილები ქეთევან გოგიტიძე, ლამარა ჩხაიძე, ნაზიბროლა ხასაია, მექანიზატორთა საკავშირო შეჯიბრებაში ორგზის გამარჯვებული მამული მამულაშვილი, ენგურჰესის მშენებელი შუქრი აბაკელია და ბევრი სხვა მოწინავე ახალგაზრდა, რომლებიც ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის წარმომადგენლები არიან.

საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლები, ბრიგადები და რგოლები საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ პატრიოტულ მოძრაობაში, რომლის დევიზია: **„ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიება“**.

სასიხარულოა იმის აღნიშვნაც, რომ შარშან მარტო ახალგაზრდობის ძალებით მოიკრიფა 180 ათასი ტონა ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი, დიდძალი ყურძენი, ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული, დამზადდა ბევრი მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები.

საქართველოს ახალგაზრდობის წარჩინებული შრომის კიდევ ერთი თვალნათელი დადასტურებაა ის, რომ ამ ცოტა ხნის წინათ საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ 1971 წლის შედეგების მიხედვით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მოპოვებული წარმატებებისათვის **„1971-1975 წლების კომკავშირული დიდების მატიანეში“** შეიტანა **საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია.**

ახლოვდება სსრ კავშირის შექმნის სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავი. მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ამ თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის. საქართველოს კომკავშირისათვის მეტად ძვირფასია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ტრადიციები, რადგან თვითონ არის ნახევარმილიონიანი ინტერნაციონალური ოჯახი.

ამ დღეებში, ახალი ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხულზე, სულ უფრო ფართოდ, აჩაღებენ მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებას, რომ ყველა დარგში მიღწეულ იქნას საერთო წინსვლა, საერთო აღმავლობა.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით კვლავაც სახელოვან ფურცლებს ჩასწერს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

## კომკავშირის ღირსეული შვილები — ყრილობის დელეგატები



რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან მოემგზავრებიან თბილისში საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატები. სურათზე: ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): პირველ რიგში — გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ო. კაკაბაძე, წულუკიძის რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ე. გიორგბერიძე, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის მწველავი მ. ტურაშვილი, საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. გულისაშვილი; მეორე რიგში — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ბარამიძე, ახალციხის № 1 საშუალო სკოლა-ინტერნატის პიონერხელმძღვანელი ც. ლაფაჩი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ სპეციალური მექანიზაციის სამმართველოს მეექსკავატორე მ. მამულაშვილი; მესამე რიგში — ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროს მუშა ა. ჩაფიჩაძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. მამისეიშვილი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მექანიზატორი თ. გელაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ერთობლივი დეკლარაცია

**საბჭოთა** მთავრობის მოწვევით 1972 წლის 1-5 მარტს საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი შეიხ მუჯიბურ რაჰმანი, რომელსაც ახლდა საგარეო საქმეთა მინისტრი მ. აბდუს სამადი.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს პრემიერ-მინისტრი და მისი თანმხლები პირები, მოსკოვს გარდა, იყვნენ აგრეთვე ლენინგრადსა და ტაშკენტში. ბანგლადეშიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრებს მიეცათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, საბჭოთა კავშირის მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მეთაურსა და მის თანმხლებ პირებს ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ, რაც მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანები გულწრფელი მეგობრობითა და დიდი პატივისცემით ეკიდებიან ბანგლადეშის ხალხსა და მის ხელმძღვანელებს.

პრემიერ-მინისტრი შეიხ მუჯიბურ რაჰმანი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. იგი მიიღო აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ. ამ შეხვედრების დროს გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბრები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს შეიხ მუჯიბურ რაჰმანს შორის გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკაში ვ. თ. პოპოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ა. ა. ფომინი;

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი მ. აბდუს სამადი, საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დოქტორი ნურულ ისლამი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ს. ა. კარიმი, ფინანსთა სამინისტროს მდივანი მატიულ ისლამი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის გენერალური დირექტორი ს. ა. მ. ს. კიბრია, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში შამსურ რაჰმანი.

გაიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მ. აბდუს სამადის შეხვედრები და საუბრები.

საუბრებისა და მოლაპარაკების დროს, რომლებიც გულითადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

პრემიერ-მინისტრმა მუჯიბურ რაჰმანმა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ხალხისა და მთავრობის სახელით და პირადად თავისი სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს იმ აქტიური და თანმიმდევრული მხარდაჭერისათვის, რომელიც ბანგლადეშის ხალხს გაუწიეს სამართლიან ბრძოლაში სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს. პრემიერ-მინისტრმა საბჭოთა მხარეს გააცნო ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის, სახელმწიფო აპარატის საქმიანობის მოწესრიგების, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, აგრეთვე მომავალი განვითარების პროგრამა, რომელიც ბანგლადეშის მთავრობამ შეიმუშავა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბანგლადეშის მთელ ხალხთან მჭიდრო თანამშრომლობით განახორციელოს ფართო სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა, თავის მხრივ, უამბეს ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრს, თუ როგორ სრულდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, რა შრომითი წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა ხალხმა სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაში, როგორ ხორციელდება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, რომლის მიზანია საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცება.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ პირველი ნაბიჯები საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის თანამშრომლობის განვითარების გზაზე, როგორიც არის სავაჭრო ხელშეკრულების დადება, ორ ქვეყანას შორის საზღვაო და საჰაერო მიმოსვლის გახსნა, პროფკავშირული, ახალგაზრდული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების

(დასასრული მე-2 გვ.).

## სოფლის მუშაკთა შეჯიბრების დევიზი: მთელი ჩვენი ძალღონე — უხვ მოსავალს

საქართველოში იწყება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. ხუთწლედის მეორე გაზაფხულს სოფლის მშრომელები ეგებებიან დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწათმოქმედები და მეცხოველეები ისწრაფვიან ეს ისტორიული თარიღი აღნიშნონ ახალი წარმატებებით შრომაში, რაც შეიძლება სწრაფად განახორციელონ დიდებული გეგმები, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა.

მხვნელ-მთესველებს, მევენახეებს, მებაღეებს, მეცხოველეებს — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დაწყება უხდებათ უჩვეულო პირობებში, რომლებიც ხანგრძლივმა და სუსხიანმა ზამთარმა განაპირობა. ძლიერმა ყინვამ ზოგან დააზიანა მარცვლეულის საშემოდგომო ნათესები, გაართულა ფერმებში პირუტყვის გამოზამთრება. პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ახლა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა აღმოფხვრან სუსხიანი ზამთრის შედეგები, სანიმუშოდ დაამთავრონ სამუშაოთა გაზრდილი მოცულობა, შექმნან პირობები სამარცვლე მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს კარგად ესმით მათს წინაშე დასახული ამოცანები. ამ დღეებში რაიონებში იმართება სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებები, რომელთა მონაწილეები კისრულობენ ხუთწლედის მეორე წლის ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს. საუკეთესო მიწათმოქმედებმა, მეცხოველეებმა და მექანიზატორებმა, რომლებიც გამოვიდნენ შეკრებებზე, აღუთქვეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ შეასრულებენ პირობას და ღირსეულად შეხვდებიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ უხვ მოსავალს! სოფლის მშრომელებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ზრდას, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი წარმოების ინტენსიფიკაციას და ხუთწლედის მეორე წელი გახადონ გარდატეხის წლად მარცვლეულის, საკვები კულტურების, მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების განვითარებაში.

გუშინ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ახალი სოციალისტური ვალდებულებები. დღეს ვბეჭდავთ მარნეულის რაიონის მხვნელ-მთესველთა ვალდებულებებს.

„კომუნისტის“ შემდეგ ნომრებში გამოქვეყნდება გორის, ყვარლისა და სხვა რაიონების სოფლის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებები.

## მარნეულელ მხვნელ-მთესველთა ვალდებულებანი

მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების გადიდებას და 1972 წელს კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს.

**9008 ჰექტარ ფართობზე ისინი გეგმით გათვალისწინებული 151.440 ცენტნერი მარცვლის ნაცვლად მოიწევენ 226.200 ცენტნერს.** თვითეულ ჰექტარზე **საშუალოდ მიიღებენ 25 ცენტნერ მარცვალს,** მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 16,8 ცენტნერი, **ხოლო 5566 ჰექტარ სარწყავ ფართობზე საშუალოდ მოიწევენ 30 ცენტნერს, 883 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ მიიღებენ 30 ცენტნერ. სიმინდის მარცვალს გეგმით გათვალისწინებული 23,6 ცენტნერის ნაცვლად. სახელმწიფოს მიჰყიდიან 5000 ტონა მარცვლეულს.** მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 3055 ტონა, მათ შორის 4300 ტონა ხორბალს.

რაიონის ცალკეულმა მეურნეობებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს უფრო გადიდებული ვალდებულებანი.

**მარნეულის** მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები (დირექტორი ა. ჰასანოვი, პარტკომის მდივანი დ. იბრაგიმოვი) 345 ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ 37 ცენტნერ მარცვლეულს, ხოლო 60 ჰექტარ ფართობზე — 60 ცენტნერ სიმინდს. საბჭოთა მეურნეობის ყიზილ-აჯლოს განყოფილების მშრომელებმა (უფროსი ა. ფატულაევი) იკისრეს ვალდებულება 100 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ მოიწიონ 45 ცენტნერი მარცვლეული.

**ყაჩაღნის** მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა (დირექტორი ტ. ჯარაევი, პარტკომის მდივანი შ. ჯაბარლი) იკისრეს ვალდებულება 306 ჰექტარ ფართობზე მოიწიონ 35 ცენტნერი მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 20,1 ცენტნერის ნაცვლად.

**მუღანლოს** სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის მემარცვლეები (დირექტორი ნ. სინჯიაშვილი, პარტკომის მდივანი ნ. გოჯაევი) 1705 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ მოიწევენ 25 ცენტნერ მარცვლეულს გეგმით გათვალისწინებული 16,8 ცენტნერის ნაცვლად, მარცვლეულის მთლიან მოსავალს გაზრდიან 42.756 ცენტნერამდე. სამარცვლე სიმინდს მოიწევენ 4137 ცენტნერს, ამასთან საშუალო მოსავლიანობა გაიზრდება 30 ცენტნერამდე, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 23,6 ცენტნერი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ი. ყურბანოვის ბრიგადა თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწევს 40 ცენტნერ მარცვლეულს.

**არაფლოს** მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მესიმინდეებმა (დირექტორი ა. გოჯაევი, პარტკომის მდივანი გ. მეხრალიევი) იკისრეს ვალდებულება 30 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ მოიყვანონ 35 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 502 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ 31 ცენტნერი თავთავიანი კულტურები.

**კასუმლოს** მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მემარცვლეები (დირექტორი მ. ნამაზოვი, პარტკომის მდივანი ს. ჰასანოვი) 200 ჰექტარზე მიიღებენ 34 ცენტნერ სამარცვლე თავთავიან კულტურებს და 35 ცენტნერ სიმინდს.

**ალგეთის** სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის მხვნელ-მთესველები 700 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ მოიწევენ 30 ცენტნერ მარცვლეულს.

**კულარის** მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა (დირექტორი გ. ჭათამაძე, პარტკომის მდივანი ა. სანიკიძე) იკისრეს ვალდებულება 26,5 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ მიიღონ 300 ცენტნერი სილოსი.

**მარნეულის** მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობამ იკისრა ვალდებულება 96 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 262 ცენტნერი სილოსი.

**მარნეულის რაიონის მებოსტნეები სახელმწიფოს მიჰყიდიან 17.000 ტონა ბოსტნეულს გეგმით გათვალისწინებული 14.500 ტონის ნაცვლად.**

## მუჯიბურ რაჰმანი ლენინგრადში

ლენინგრადი, 4 მარტი. (საკდეუსი). ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა შეიხ მუჯიბურ რაჰმანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დღეს პატივი სცეს გმირებს, რომლებიც დაიღუპნენ ჰიტლერელთა მიერ ლენინგრადის 900 დღის ბლოკადის დროს.

პისკარიოვოს მემორიალურ სასაფლაოზე მათ გვირგვინები მიიტანეს მგლოვიარე დედა-სამშობლოს მონუმენტის კვარცხლბეკთან.

შემდეგ შეიხ მუჯიბურ რაჰმანმა და ა. ნ. კოსიგინმა დაათვალიერეს ფერწერისა და ქანდაკების გამოჩენილ ოსტატთა ნაწარმოებები ერმიტაჟში. იმავე დღეს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი შეიხ მუჯიბურ რაჰმანი ტაშკენტში გაემგზავრა.

# საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ერთობლივი დეკლარაცია

(დასასრული)

კონტაქტების დამყარება, მოწმობენ, რომ არსებობს ორი ქვეყნის ხალხთა ყოველმხრივი თანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცების დიდი შესაძლებლობანი.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა და ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა დარგებში ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურთიერთპატივისცემის, ტერიტორიული მთლიანობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები, ძალის გამოყენებასა და მისი გამოყენების მუქარაზე უარის თქმა, შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის ინტერესებს.

მოლაპარაკების დროს დიდი ყურადღება დაეთმო ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის გაფართოებას თანასწორობის, ურთიერთხელსაყრელობისა და უმეტესი ხელშეწყობის საფუძველზე. მხარეებმა დაადასტურეს მისწრაფება განავითარონ ურთიერთობა და კონტაქტები მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, პრესის, რადიოს, სპორტისა და სხვა დარგებში. ორივე სახელმწიფოს ხალხთა ცხოვრების კულტურისა და მიღწევების უფრო ღრმა ურთიერთგაცნობისათვის საბჭოთა კავშირი და ბანგლადეში ხელს შეუწყობენ სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის პროფკავშირული, ახალგაზრდული, ქალთა ორგანიზაციების, საწარმოების, კულტურული და მეცნიერული დაწესებულებების თანამშრომლობისა და უშუალო ურთიერთობის გაფართოებას.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ წარმატებით ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის მეგობრული თანამშრომლობა, ამასთან მათ დათქვეს, რომ უახლოეს დროში ორივე ქვეყნის ექსპერტები შეხვდებიან ერთმანეთს და შეიმუშავებენ კონკრეტულ წინადადებებს ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

მხარეებმა განიხილეს თბოელექტროსადგურის, რადიომაუწყებლობის სადგურების, ელექტრომოწყობილობის ქარხნის მშენებლობაში, აგრეთვე ნავთობისა და გაზის საძიებო გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებში თანამშრომლობის საკითხი და ხელი მოაწერეს შესაბამის შეთანხმებას.

საბჭოთა კავშირი დახმარებას გაუწევს ბანგლადეშს საზღვაო თევზჭერისა და საზღვაო ფლოტის აღდგენასა და განვითარებაში, ხელს შეუწყობს რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენაში.

საბჭოთა კავშირი აგრეთვე დაეხმარება ბანგლადეშს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის ეროვნული კადრების მომზადებაში, აგრეთვე გაუწევს კონსულტაციებს მრეწველობის აღდგენის საკითხებზე.

ბანგლადეშის შიდა რაიონებთან საჰაერო მიმოსვლის გაუმჯობესებისათვის საბჭოთა კავშირი ბანგლადეშს გადასცემს ვერტმფრენებს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ გააფართოებენ ვაჭრობას ორ ქვეყანას შორის. კერძოდ, საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ მზად არის ბანგლადეშის ტრადიციულ საექსპორტო საქონელთან ერთად იქ შეისყიდოს ახალი საქონელიც.

საბჭოთა კავშირი პატივს სცემს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მიუმხრობლობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკას, რომელიც დიდმნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ყველა ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოველმხრივი მხარდაჭერა.

საყოველთაო უშიშროების განმტკიცებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის აქტიური ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე ყველა დარგში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების ინტერესებისათვის საბჭოთა კავშირი და ბანგლადეში შეთანხმდნენ, რომ რეგულარულად მოაწყობენ ორი მთავრობის პოლიტიკურ კონსულტაციებს სხვადასხვა დონეზე ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხზე, რომლებიც ეხება ორივე სახელმწიფოს ინტერესებს. ასეთი კონსულტაციები განხორციელდება ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრების, მთავრობათა ოფიციალური დელეგაციებისა და სპეციალური წარმომადგენლების გაცვლის გზით, აგრეთვე ჩვეულებრივი დიპლომატიური არხებითა და სხვა ფორმით.

მხარეებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ ურთიერთმისწრაფებით კიდევ უფრო განავითარონ და განამტკიცონ საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობა და თანამშრომლობა, დათქვეს გაითვალისწინონ გამართული აზრთა ურთიერთგაზიარება და შეისწავლონ, თუ რა დამატებითი ღონისძიებანი შეიძლება განხორციელდეს, რათა შესაბამისად განმტკიცდეს ორ სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთობა.

მოლაპარაკების დროს დიდი ყურადღება დაეთმო ახლანდელ ვითარებას ინდოსტანის სუბკონტინენტზე.

აზრთა ურთიერთ გაზიარების შედეგად საბჭოთა ხელმძღვანელებმა და ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის შექმნა ბანგლადეშის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამარჯვების შედეგია. ამ ბრძოლის დროს არა მარტო მთელი სიცხადით გამოვლინდა, თუ როგორ ეკიდება სხვადასხვა სახელმწიფო ბანგლადეშის ხალხის სამართლიან საქმეს, არამედ აგრეთვე გამოირკვა ვინ არის ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის — ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნამდვილი მეგობარი და მტერი.

საბჭოთა კავშირი და ბანგლადეში მოუწოდებენ ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანას გამოიჩინონ საჭირო სიფხიზლე და საკადრისი პასუხი გასცენ გარედან ჩარევის ყველა ცდას, ხელი შეუშალონ ინდოსტანის ქვეყნების ურთიერთობის ახალ გართულებებს. მათ მიაჩნიათ, რომ ყველა ქვეყნის მთავრობები, რომლებისთვისაც ძვირფასია ინდოსტანის სუბკონტინენტზე მშვიდობის საქმე, ყოველი ღონისძიებით ეცდებიან რაც შეიძლება მალე მოაწესრიგონ ვითარება ამ რაიონში. ის, რომ სულ უფრო მეტმა სახელმწიფომ ცნო სუვერენული ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა, დამაჯერებლად ადასტურებს, რომ მათ ესმით ამ რაიონში შექმნილი რეალური ვითარება.

მხარეებმა გამოთქვეს საერთო აზრი, რომ სწრაფი პოლიტიკური მოწესრიგება ინდოსტანის ხალხთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე მნიშვნელოვანწილად შეუწყობდა ხელს ამ რაიონის ქვეყნების განვითარებას ეკონომიური და სოციალური პროგრესის გზით.

საბჭოთა კავშირი და ბანგლადეში აცხადებენ, რომ ინდოსტანის სუბკონტინენტზე ნამდვილი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ უშუალოდ დაინტერესებულ სახელმწიფოთა მოლაპარაკების გზით გარედან ჩაურევლად, რეალურად შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, მისი ხალხების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების საფუძველზე. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ნამდვილი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევა ხელს შეუწყობს ინდოსტანში მდგომარეობის ნორმალიზაციას და დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

სხვა აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა ურთიერთ გაზიარების დროს მხარეებმა დაადასტურეს, რომ მზად არიან კვლავაც ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა და ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრმა დიდი შეშფოთება გამოთქვეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი მდგომარეობის გამო. ისინი მოითხოვენ ვიეტნამელი, ლაოსელი და კამბოჯელი ხალხების მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას და მათი კანონიერი უფლებების განხორციელებას — დამოუკიდებლად გადაჭრან თავიანთი ბედი ეროვნული ინტერესების შესაბამისად უცხოეთის ჩაურევლად.

საბჭოთა კავშირი და ბანგლადეში აცხადებენ, რომ, მათი ღრმა რწმენით, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის შვიდი პუნქტისაგან შემდგარი წინადადებანი ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების რეალური და კონსტრუქციული საფუძველია.

მხარეებმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს ახლო აღმოსავლეთში ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაციის გამო, რომელიც გრძელდება და ქმნის დაძაბულ ვითარებას, საფრთხეს უქმნის მშვიდობას. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ამ რაიონში მიაღწიონ მყარ და სამართლიან მშვიდობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის მთელი მოცულობით შესრულების საფუძველზე და ელჩ იარინგის მისიის ხელშეწყობით.

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობს მისწრაფებით ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას, მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცადინეობას, რომლის მიზანია გაიმართოს სრულიად ევროპის თათბირი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის პრობლემებზე, რაც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება არა მარტო ევროპის კონტინენტზე, არამედ აგრეთვე მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების გზაზე.

საუბრების დროს აღინიშნა, რომ მშვიდობისა და უშიშროების დაცვისა და განმტკიცებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას და საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ საყოველთაო და სრულ განიარაღებას, რომელიც მოიცავს როგორც ატომურ, ისე ჩვეულებრივი სახეობის იარაღს. ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მხარს უჭერს გადაწყვეტილებას განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საბჭოთა კავშირის ინიციატივით. ეს კონფერენცია ხელს შეუწყობს განიარაღების მომწიფებულ პრობლემათა გადაჭრის ისეთი გზების შემუშავებას, რომლებიც პრაქტიკულად განხორციელდება და ყველასათვის მისაღები იქნება.

საბჭოთა კავშირმა და ბანგლადეშმა, რომლებიც მხარს უჭერენ ზღვის სივრცეების რეჟიმის მარეგულირებელ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, გამოთქვეს აზრი, რომ უნდა დაწესდეს ტერიტორიული წყლების სიგანე სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობის პრაქტიკის შესაბამისად, აგრეთვე მოწესრიგდეს ამასთან დაკავშირებული საკითხები, და განაცხადეს, რომ მზად არიან მომავალშიც ითანამშრომლონ ამ მიზნების მისაღწევად.

მხარეები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ყველა რასისა და სარწმუნოების ხალხთა თანასწორობის იდეალებით, იღვწიან კოლონიალიზმის ნაშთების რაც შეიძლება მალე და სრული ლიკვიდაციისათვის, კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის უთუოდ შესრულებისათვის. ისინი გადაჭრით გმობენ რასიზმისა და აპარტეიდის ყველა ფორმასა და გამოვლინებას.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა კმაყოფილებით მიიღეს ცნობად პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ ბანგლადეში სავსებით ეთანხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და მიზნებს და კისრულობს ყველა ვალდებულებას, რომლებსაც სახელმწიფოებს ავალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. ამის საფუძველზე საბჭოთა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირი მხარს დაუჭერს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის თხოვნას მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მოსკოვში ყოფნის დროს პრემიერ-მინისტრი მუჯიბურ რაჰმანი და მისი თანმხლები პირები მონაწილეობდნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა წარმომადგენლების შეკრებაში, რომელიც მიეძღვნა „საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის საზოგადოების დაფუძნებას.

საბჭოთა ხელმძღვანელები და ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრი აცხადებენ, რომ მთლიანად უჭერენ მხარს ორივე ქვეყანაში შექმნილ მეგობრობის საზოგადოებათა საქმიანობას.

ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკას შორის პირადი კონტაქტების განვითარებას ყველა დონეზე და აცხადებენ, რომ განზრახული აქვთ გააფართოონ ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეების, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, კულტურულ და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების ვიზიტების გაცვლა.

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი საბჭოთა კავშირში და ვიზიტის დროს გამართული მოლაპარაკება და საუბრები საბჭოთა ხელმძღვანელებთან უთუოდ შეუწყობენ ხელს ორი ქვეყნის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

პრემიერ-მინისტრმა შეიხ მუჯიბურ რაჰმანმა სთხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს მათთვის მოხერხებულ დროს ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ეწვიონ ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკას. ისინი მადლობით დათანხმდნენ მიწვევაზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით
ა. კოსიგინი

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის სახელით
შეიხ მუჯიბურ რაჰმანი

მოსკოვი, 1972 წლის 3 მარტი.

## მოსკოვ-დაკის პირდაპირი რადიოკავშირის ხაზი

დამყარდა პირდაპირი ორმხრივი რადიოსატელეტაიპო კავშირი სსრ კავშირისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტოებს შორის.

საკდესის ინფორმაციას უკვე იღებს ბანგლადეშის ყველა ძირითადი გაზეთი. ამ დღეებში მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევენ მასალები სსრ კავშირში ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის შეიხ მუჯიბურ რაჰმანის ვიზიტის შესახებ, რომლებსაც ფართოდ აქვეყნებს ახალგაზრდა რესპუბლიკის პრესა. (საკდესი).

# გაზაფხულის დღე წელიწადს კვებავს

## „კომუნისტის" რეიდი წულუკიძის რაიონში

# გამართული შრომა და გაუმართავი ტრაქტორები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის მძლავრი სუნთქვა ახსისა და თურჩუს მთებსაც მისწვდა. თოვლი დნება, წყალუხვი გახდა ცხენისწყალი და გუბისწყალი, მარტო ისევ დათოვლილი ქედებიღა თუ მოაგონებენ კაცს წლევანდელი ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრის სუსხს. ბარში მინდვრებსა და მდელოებს სიმწვანე ეპარება, მიწამ გული გადაიხსნა.

წულუკიძის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობების მხვნელ-მთესველებმა და მეჩაიეებმა გაითვალისწინეს ხანგრძლივი ზამთრის სიძნელეები, და, როგორც კი დათბა, მინდვრებსა და პლანტაციებს მიაშურეს, გააჩაღეს შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

— საიუბილეო წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 5.240 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, აწარმოონ 5.300 ტონა სიმინდის მარცვალი, 2.500 ტონა ბოსტნეული, 310 ტონა სოია, — ასეთია რაიონის მშრომელთა ვალდებულება.

გორა ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ანდრიაძე) საგაზაფხულოდ უკვე მოხნეს საყანე მიწების ნახევარზე მეტი. ჩქარი ტემპით აწარმოებენ ჩაის პლანტაციების ნიადაგის კულტივაციას, შეაქვთ ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქები, წმენდენ სადრენაჟო ქსელს, სხლავენ ჩაის ბუჩქებს. სოფელ ივანდიდის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადირმა, მექანიზატორმა შოთა საღინაძემ, რომელიც 29 თებერვალს ავადმყოფი ტრაქტორისტის ნოდარ შალამბერიძის ნაცვლად დილიდანვე მიუჯდა „ბელარუსის" საჭეს, ექვსი ჰექტარი სასიმინდე მიწა მოხნა. ივანდიდის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. მაჭარაძე) პირველ მარტამდე უკვე მოხნეს 150 ჰექტარზე მეტი, დაამთავრეს ბარდის თესვა 19 ჰექტარზე, 60 კვალსათბურის ჩარჩოში ჩათესეს საჩითილედ გამოსაყვანი ბოსტნეული, მთლიანად დაამთავრეს 64 ჰექტარი ჩაის პლანტაციის ნიადაგის გადაბარვა-კულტივაცია სასუქების შეტანით.

საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის კარგად ემზადებიან აგრეთვე პატარა ჯიხაიშის კოლმეურნეობაში. აქ მზად აქვთ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, სათესლე მასალა აყვანილია კონდიციამდე და ტრაქტორებს ორ ცვლად ამუშავებენ. ამიტომაც არის, რომ კოლმეურნეობას გათვალისწინებული 220 ჰექტარიდან მარტისათვის უკვე მოხნული ჰქონდა 150 ჰექტარი.

ასეა საქმე მოწინავე კოლმეურნეობებში.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა კოლმეურნეობამ და ორგანიზაციამ მხარი ვერ აუბა მხვნელ-მთესველთა შემართებას. ეს პირველ რიგში ითქმის „საქსოფლტექნიკის" წულუკიძის რაიონულ განყოფილებაზე (მმართველი ი. ხომერიკი). ჩანაწერებს თუ დავუჯერებთ, აქ ტრაქტორების რემონტის გეგმებს ასრულებენ. მაგრამ რა ფასი აქვს გეგმის შესრულებას, როცა ზოგიერთი კოლმეურნეობის ტრაქტორის რემონტი თვეობით ჭიანურდება, ან კიდევ, შეკეთებული ტექნიკა ისევ მალე ხდება შესაკეთებელი.

სახელოსნოში გასული წლის 20 დეკემბრიდან დგას „დტ-75" მარკის ორი ტრაქტორი. სოფელ მათხოჯის ლენინისა და სოფელ გუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს უნდა მიეღოთ შეკეთებული ტრაქტორები. მარტი დადგა, მაგრამ რემონტი ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ.

აქ „თავს იმართლებენ": — სათადარიგო ნაწილები დაგვიანებით მივიღეთო. მაგრამ იმაზე რაღას იტყვიან, რომ ნახახულევისა და ქუტირის კოლმეურნეობების „დტ-75" მარკის ტრაქტორები რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ ისევ სარემონტო გახდა?!

სახელოსნოს ეზოში მთელი ზამთრის პერიოდში იდგა „საქსოფლტექნიკის" განყოფილების „კ-700" მარკის მძლავრი ტრაქტორი. მას შარშანდელი შემოდგომიდან გუბის კოლმეურნეობაში ხორბლის თესვის შემდეგ აღარ უმუშავნია. როგორც იქნა, სათადარიგო ნაწილები იშოვნეს, ტრაქტორიც შეაკეთეს, მაგრამ, გუთანი ახლაც კოლმეურნეობაში გდია. პრობლემა გახდა ტრაქტორის გამართვა და სამუშაოდ დაძვრა.

გაუმართავ ტრაქტორებს ისიც ემატება, რომ სახელოსნოს ეზოში ერთმანეთში არეული და მიმოფანტულია ძველი და ახალი ტექნიკა. ჩაის საკრეფი 5 მანქანა ცის ქვეშ დგას. ეზოში ყრია ჩაის საკრეფი აგრეგატები, მეცხოველეობის ფერმებისათვის განკუთვნილი ნაკელის ტრანსპორტიორები, ჯალამბრები და სხვა ძვირფასი მანქანები.

შეფერხებებია ტრაქტორების საწვავით უზრუნველყოფის საქმეშიც. 29 თებერვალს სოფელ ქუტირის კიროვის სახელობისა და ივანდიდის კოლმეურნეობებში ორ-ორი, ხოლო მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასა და ჩაის საბჭოთა მეურნეობაში თითო ტრაქტორი საწვავის უქონლობის გამო არ მუშაობდა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ სამტრედიის ნავთობის ბაზას წულუკიძის საწყობისათვის 24-დან 29 თებერვლამდე დიზელის საწვავი არ მიუწოდებია. 28 თებერვალს, დილის შემდეგ საწყობს, რომლის რეზერვუარებში 60 ტონა ეტევა, სრულებით არ ჰქონდა საწვავი.

საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩება ქუტირის კიროვის და მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები. ქუტირის კოლმეურნეობაში დღეში 15 ჰექტარის ნაცვლად მხოლოდ 10-12 ჰექტარს ხნავენ. სოიის 43 ცენტნერი თესლი მინარევებით არის დანაგვიანებული და გასაწმენდია. მათხოჯის კოლმეურნეობაში ხვნა გვიან დაიწყეს და 227 ჰექტარიდან დღემდე მხოლოდ 80 ჰექტარი მოხნეს. აქ მინდვრად ორგანული სასუქის გატანა არ დაუწყიათ.

საკვირველია, რომ ასეთი მდგომარეობა აღნიშნულ კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მსჯელობის საგანი არ გამხდარა. (საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი დღემდე არ განუხილავთ).

ყველაფერი ვიღონოთ ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორებისათვის.

**რეიდის მონაწილენი:** გ. ბახტაძე — სახალხო კონტროლის წულუკიძის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე; გ. ტაბიძე — სოფელ ივანდიდის კოლმეურნეობის აგრონომი; მ. ბახტაძე — წულუკიძის რაიონის მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი; გ. ახალაძე — სოფელ პატარა ჯიხაიშის კოლმეურნეობის აგრონომი; ლ. ვაშაკიძე — რაიონული გაზეთის „კომუნიზმის გზით" სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, შ. ჯავახაძე — „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

# ბრძოლა — დამნაშავეობას

## პროკურატურის მუშაკთა თათბირზე

თბილისის ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. იგი მიეძღვნა დამნაშავეობისა და კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლისათვის პროკურატურის ორგანოების მუშაობის შედეგებს, აგრეთვე მათს შემდგომ ამოცანებს, თუ როგორ შეასრულონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი, კერძოდ, „სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნილებათა მიხედვით სამართალდარღვევის აღკვეთისა და პროფილაქტიკისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა ა. მ. ტაკიძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ქალაქ თბილისის პროკურორი შ. გ. ლომაია, აფხაზეთის ასსრ პროკურორი მ. მ. არღუნი, ქალაქ რუსთავის პროკურორი ს. ჭ. იმედაშვილი, აჭარის ასსრ პროკურორი დ. ს. ბაჟელიძე, ქალაქ ქუთაისის პროკურორი ა. მ. ელენტი, ქალაქ ზუგდიდის პროკურორი ძ. თ. ნარმანია, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მოადგილე მ. ნ. პარასტაევი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსი ბ. ხ. სოლოღაშვილი, რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი მ. ზ. ქურდაძე, სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ა. ა. შუშანაშვილი, საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ვ. გ. ასიეშვილი.

როგორც თათბირზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, პროკურატურის ორგანოების მუშაკებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ სამართალდარღვევის პროფილაქტიკა დამნაშავეობასთან ბრძოლის გენერალური ხაზია, პარტიის ამ საპროგრამო მოთხოვნის შესაბამისად აგებდნენ ისინი მთელ პრაქტიკულ საქმიანობას 1971 წელს. სისტემატურად აანალიზებდნენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში. სამართალდარღვევის აღკვეთის საკითხები განხილული იყო საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომებზე, ოპერატიულ თათბირებზე. კერძოდ, განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიც არის ბრძოლა მექრთამეობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, მუქთახორობის, ლოთობის წინააღმდეგ, სამიშ დანაშაულთა გახსნის მდგომარეობა; განხილული იყო ქალაქებისა და რაიონების პროკურორების ანგარიშები დანაშაულთა აღკვეთისა და პროფილაქტიკისათვის მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

პროკურატურის ცენტრალური აპარატის მუშაკები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ჩადიოდნენ, რომ ადგილობრივ დახმარებოდნენ როგორც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში, ისე საპროკურორო ზედამხედველობის ცალკეულ დარგებში. ადგილებზე ისინი სწავლობდნენ საქმის მდგომარეობას, ავლენდნენ ნაკლოვანებათა მიზეზებს და ახორციელებდნენ მათი აღმოფხვრის ღონისძიებებს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მექრთამეობის, მყიდველთა მოტყუების ფაქტების აქტიურ გამოვლინებას და სხვ.

რესპუბლიკაში გაწეული მუშაობისა და ამ საქმეში პროკურატურის ორგანოების წვლილის შედეგად შარშან 1970 წელთან შედარებით უფრო ნაკლები დანაშაული აღირიცხა. საგრძნობლად შემცირდა დანაშაულთა რიცხვი თბილისში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, მარნეულის, გარდაბნის, გურჯაანის, სიღნაღის, ზუგდიდისა და სხვა რაიონებში. ამასთანავე შემცირდა სამიშ დანაშაულთა რიცხვი, აგრეთვე დამნაშავეობა არასრულწლოვანთა შორის.

მაგრამ მდგომარეობა უფრო კარგი იქნებოდა, რომ მთელი რიგი ნაკლოვანებანი არ ჰქონდეთ მუშაობაში ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის პროკურატურის ორგანოებსაც. ჯერ კიდევ ბევრი დანაშაული რჩება გაუხსნელი, თუმცა, მაგალითად, თბილისსა და განსაკუთრებით აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გასული წლის მანძილზე მდგომარეობა ამ მხრივ გაუმჯობესდა, რასაც ხელი შეუწყო კრიმინალისტური ტექნიკისა და მეცნიერული რეკომენდაციების, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიულ შესაძლებლობათა უფრო ფართოდ გამოყენებამ.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები ახორციელებდნენ მექრთამეობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებებს და ამ საქმეში დადებით შედეგებს მიაღწიეს. მხილებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იყო ბევრი მექრთამე, რომლებიც მუშაობდნენ სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში, გაიხსნა, კერძოდ, მექრთამეობის დიდი საქმეები ქალაქ ქუთაისის სამშენებლო ტრესტში, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციებში.

უფრო აქტიური, მიზანდასახული გახდა ბრძოლა დატაცების წინააღმდეგ, გაძლიერდა ზედამხედველობა ამ კატეგორიის საქმეებისადმი. აღმოჩენილია ბევრი შენიღბული დატაცება, მხილებული არიან დამტაცებელთა მთელი რიგი ორგანიზებული ჯგუფები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს. მაგრამ, როგორც თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, სოციალისტური ქონების დაცვისათვის ბრძოლის მდგომარეობა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის, და დატაცებათა სრული აღმოფხვრის ამოცანა ნელა წყდება.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სამართლებრივ პროპაგანდაში. პროკურორებმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტივების კრებებზე, მუშებისა და მოსამსახურეების, კოლმეურნეების საერთო კრებებზე წაიკითხეს ათასობით მოხსენება კანონიერების მდგომარეობის, კანონების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ, გააკეთეს ინფორმაციები მოსახლეობის წინაშე მოცემულ ადგილას დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ, საბჭოთა კანონების ახსნა-განმარტებისათვის. ისინი ბევრჯერ გამოვიდნენ პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით.

უფრო აქტიური ხდება საერთო ზედამხედველობა სამინისტროთა, უწყებათა და დაწესებულებათა საქმიანობაში კანონიერების დაცვისადმი. ერთი წლის მანძილზე საერთო-საზედამხედველო შემოწმებათა შედეგად გამოვლინდა ბევრი სამართლებრივი აქტი, რომლებიც გამოცემულია კანონის დარღვევით. საერთო-საზედამხედველო შემოწმებათა მასალების მიხედვით აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, დამნაშავენი მიცემული არიან მატერიალურ, დისციპლინარულ ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. შემოწმებულია აგრეთვე, თუ როგორ სრულდება კანონი უხარისხო, არასტანდარტული და არაკომპლექსური პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, ამის შედეგად გამოვლინდა არსებითი ნაკლოვანებანი ამ დარგში. რესპუბლიკის პროკურატურამ გამოავლინა აგრეთვე სერიოზული დარღვევანი რკინიგზის ვაგონების განტვირთვისას.

გააქტიურდა გამომძიებელთა მუშაობა იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლენისა და აღმოფხვრის საქმეში, რომლებიც ხელს უწყობენ კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩადენას. მკვეთრად გაიზარდა იმ გამომძიებელთა გამოსვლების რიცხვი, რომლებიც აკეთებენ ინფორმაციებს მშრომელთა კოლექტივების წინაშე. ხორციელდება საგამოძიებო მუშაობის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი. მაგალითად, რეგულარულად ეწყობა სასწავლო-მეთოდური სემინარები გამომძიებელთა პროფესიული ოსტატობის ასამაღლებლად. დანაშაულთა ცალკეული სახეობების გამოძიების მეთოდიკისა და კრიმინალისტური ტექნიკის დასაუფლებლად, სწავლობენ და პროკურატურის კოლეგიის სხდომებზე იხილავენ გამოძიების ვადების დაცვისადმი, გამოძიების ხარისხისადმი ზედამხედველობის მდგომარეობას და სხვ. მაგრამ ამ ღონისძიებებს ჯერ კიდევ არ მოუკლიათ საგამოძიებო მუშაობის ძირეული გაუმჯობესება. ამის შედეგად ჯერ კიდევ ბევრი განცხადება და ცნობა ჩადენილ დანაშაულთა შესახებ ვადების დარღვევით წყდება. ბევრ საქმეს იძიებენ აგრეთვე ვადების დარღვევით. მთელ რიგ შემთხვევებში სასამართლოები საქმეებს აბრუნებენ ხელახლა გამოსაძიებლად. განუწყვეტლივ იზრდება საზოგადოებრიობის როლი სისხლის სამართლის საქმეთა გახსნასა და გამოძიებაში. მაგრამ ზოგიერთი პროკურორი და გამომძიებელი სათანადოდ არ აფასებს მოსახლეობის ამ დახმარების მნიშვნელობას. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში არც ერთი სისხლის სამართლის საქმის გარჩევაში არ უსარგებლიათ საზოგადოებრიობის დახმარებით.

ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოების დიდმნიშვნელოვანი ფუნქციაა მასების აღზრდა. დამნაშავეობის თავიდან აცილების მძლავრი ფაქტორია იმათი დასჯის გარდუვალობის ატმოსფეროს შექმნა, ვინც სჩადის სამართალდარღვევას. ამასთანავე თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში საბჭოთა კანონები უნდა გამოვიყენოთ სწორად. გავითვალისწინოთ კანონის დამრღვევი პიროვნება, დანაშაულის ყველა გარემოება და ამით ვიხელმძღვანელოთ დასჯის ღონისძიების განსაზღვრისას. ამიტომ საზოგადოებრივი ზეგავლენის ღონისძიებათა გამოყენების გამო შარშან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდა ბევრი სამართალდამრღვევი. მაგრამ მათი აღზრდის საკითხს მშრომელთა კოლექტივებში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ ადმინისტრაციული ორგანოები. ნაწილობრივ ამით აიხსნება, ის ფაქტი, რომ საზოგადოებრიობის თავდებში გადაცემულმა ზოგიერთმა პირმა კვლავ ჩაიდინა დანაშაული.

დიდი აღმზრდელობითი, პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს სასამართლოს გასვლით სესიებს, საზოგადოებრიობის მონაწილეობას საქმეთა განხილვაში. შარშან ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობოდა.

განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, სახელმწიფო ბრალდების ხარისხი ყოველთვის როდი შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. რესპუბლიკის პროკურატურის მიერ შეტანილი პროტესტების მიხედვით ზედამხედველობის წესით, სიმსუბუქის მოტივით გაუქმდა მთელი რიგი განაჩენები.

არის ნაკლოვანებანი საქალაქო და რაიონული პროკურატურების მიერ შეტანილ კერძო და საკასაციო პროტესტების ხარისხში. მათი მეტი ნაწილი უარყვეს.

თათბირზე აღინიშნა, რომ საჩივრების, განცხადებების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის აქტივიზაციის მიუხედავად პროკურატურის ორგანოებმა ჯერ კიდევ უნდა გასწიონ მნიშვნელოვანი მუშაობა ამ მიმართულებით.

თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე მ. პ. მალიაროვი.

თათბირმა შეიმუშავა რეკომენდაციები დამნაშავეობის წინააღმდეგ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისა და პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. ქიქნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. გ. ქარანაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. ი. მაისურაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ს. ი. ქაჯაია. (საქინფორმი).

# მსოფლიო დღეს



**ბრიტანეთის** კუნძულებზე არა წყდება საპროტესტო მოძრაობა „კონსტიტუციური დავის" მოწესრიგების შესახებ ინგლისის მმართველ წრეებსა და სამხრეთ როდეზიის რასისტ ხელისუფლებს შორის სამარცხვინო გარიგების წინააღმდეგ.

**სურათზე:** პოლიციელები უსწორდებიან ინგლის-როდეზიის გარიგების წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგის მონაწილეებს ლონდონში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება

**პარიზი. 4 მარტი. (საკდესი).** აქ გამოქვეყნდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნიქსონის ვიზიტის თაობაზე, რომელშიც, კერძოდ აღნიშნულია, რომ ნიქსონი, რომელიც განაგრძობს დანაშაულებრივ ომს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, იძულებულია მშვიდობაზე ილაპარაკოს. ეს მოწმობს ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკის მზარდ სიძნელეებს.

ჩინეთის ხელმძღვანელები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე ჩირქს სცხებდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, ნათქვამია დოკუმენტში, ახლა კვლავ აცხადებენ ამ პრინციპებს. ამიტომ ხალხები მოელიან, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები აღადგენენ ნორმალურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და მათი საქმეები მათი განცხადებების შესაბამისი იქნება.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მოითხოვს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობას, მითუმეტეს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რაიონებში გრძელდება სერიოზული კონფლიქტები.

იმპერიალიზმს, ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში, ხასიათი არ შეუცვლია, თუმცა იძულებულია შეცვალოს თავისი ტაქტიკა, რაც აღიარა ნიქსონმა თავის საგარეო პოლიტიკურ წერილში.

## ინდოეთის პოზიცია

**დელი. 4 მარტი. (საკდესი).** კალკუტაში გამართულ წინასაარჩევნო მიტინგზე პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ განმარტა ინდოეთის პოზიცია ამერიკის პრეზიდენტის რ. ნიქსონისა და ჩინეთის ხელმძღვანელობის მოლაპარაკების მიმართ. მან განაცხადა, რომ ინდოეთის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევაა ის ფაქტი, რომ ამერიკა-ჩინეთის კომუნიკეში შეიხნენ ქაშმირში ცეცხლის შეწყვეტის ხაზის საკითხს.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ცდა — ჩაერიონ ქაშმირის საკითხის გადაწყვეტაში, ეწინააღმდეგება მათს საკუთარ მტკიცებებს, რომლებსაც კომუნიკე შეიცავს, რომ ამერიკასა და ჩინეთს „განზრახული არა აქვთ მსოფლიოს რომელიმე ნაწილი გაყონ გავლენის სფეროებად". რისთვის დასჭირდათ ქაშმირში ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ხსენება, თუ არ სურთ ზეგავლენა მოახდინონ ინდოეთზე და მის პოლიტიკურ კურსზე, განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა. მან ხაზი გაუსვა, რომ ინდოეთმა და პაკისტანმა თვითონვე ორმხრივი მოლაპარაკების გზით უნდა მოაწესრიგონ ყოველი დავა.

## კომკავშირის სახელოვანი შვილები — ყრილობის დელეგატები



ტყიბულის წიაღიდან ელმავალი მარგანეცით დატვირთულ შემადგენლობას მოაქროლებს. კომკავშირულ ელმავალს გიორგი ლომიძე მართავს. იგი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა პატრიოტულ თაოსნობას ხუთი დღის გეგმის ოთხ დღეში შესრულების თაობაზე. პირობაც არ გაუტეხია. მარტო ხუთწლედის პირველ წელს მიწის წიაღიდან გამოიტანა 24.200 ტონა მადანი, წლიური დავალება 134,3 პროცენტით შეასრულა. კომკავშირელმა მემანქანემ კარგად დაიწყო ხუთწლედის მეორე წელიც.

ხუთი წელია, რაც გ. ლომიძე ახალი ითხვისის მაღაროში მუშაობს. მან მეგობარ-ამხანაგების, მთელი კოლექტივის სიყვარული და აღიარება მოიპოვა.



მახარაძის რაიონის დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველა ქებით მოიხსენიებს მაყვალა ნაჭყებიას.

ყოველწლიურად მაყვალას უხვი მოსავალი მოჰყავს. ასე იყო შარშანაც — დაგეგმილი 3,5 ტონის ნაცვლად 6,5 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. გამრჯე ქალიშვილი მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

მაყვალამ გადაწყვიტა წელს 7 ტონა ჩაი მოკრიფოს.

საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატს მ. ნაჭყებიას მაგალითით მეურნეობაში ბევრი კომკავშირელი შრომობს.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივში დამსახურებული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს ჰისტოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ჭიჭინაძე.

ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას იგი კარგად უთავსებს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. არის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი, ხელმძღვანელობს ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს.



ასეთი ახალგაზრდა და უკვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი? აღფრთოვანებას ვერ ფარავენ ისინი, რომლებიც ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოს" მუშას მერი ცინარიძეს გაიცნობენ.

მ. ცინარიძემ 1966 წელს ქარხანა „ელექტროხელსაწყოში" დაიწყო მუშაობა. იგი ჯერ მრჩილავის პროფესიას დაეუფლა, ხოლო შემდეგ ავტოტრანსფორმატორების გულანების დახვევის რთული საქმე აითვისა. განვლილი წლები საკმარისი გახდა იმისათვის, რომ მერი გამხდარიყო ქარხნის ერთ-ერთი მოწინავე მუშა, კომუნისტური შრომის დამკვრელი, აქტიური კომკავშირელი.

# ახალგაზრდობა ამბობს: ხუთწლედი — მე, მე — ხუთწლედს!



ხვალ საქართველოს კომკავშირელთა დიდი თავყრილობაა. რესპუბლიკის ნახევარმილიონიანი კომკავშირის, ჩვენი ჭაბუკებისა და ქალიშვილების წარმომადგენელნი საქმიანად, ხალად იმსჯელებენ საანგარიშო პერიოდის განვლილ მუშაობაზე, იმ დიდსა და შინაარსიან საქმიანობაზე, რასაც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს ახალგაზრდობა ეწევა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში თავისი ღირსეული წვლილის შესატანად.

„კომუნისტის" რედაქციამ მიმართა ყრილობის დელეგატებს, რომლებიც ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე შრომობენ. მოგვითხროთ, თუ რა წვლილი შეაქვთ პირადად მათ და მათი შრომითი კოლექტივების ახალგაზრდობას პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, რა დადებითი გამოცდილება შეიძინეს ამ საპატიო მუშაობაში და როგორია მათი მომავალი გეგმები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მათს წერილებს.

## ახალგაზრდობა — ინიციატორი

● დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობათა ახალგაზრდობის რესპუბლიკური შრომითი ესტაფეტა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, პირველად ზაჰესში დაიწყო და საქართველოს ყველა კომკავშირულ-დამკვრელური მშენებლობა მოიარა.

ამ ესტაფეტის დროს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში მოეწყო ახალგაზრდობის შაბათობები, რომელთა დროსაც გამომუშავებული ორ მილიონამდე მანეთი გადაირიცხა მეცხრე ხუთწლედის ფონდში, გამწვანდა ასობით ჰექტარი ფართობი, გაკეთდა ბევრი სხვა სასარგებლო საქმე.

● 18 ათასამდე ახალგაზრდამ ახალი, მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმები საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღეებში გაანაღდა, ხოლო ამჟამად ისინი მიმდინარე წლის მეორე ნახევრის ანგარიშში შრომობენ.

მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელდა ხვალინდელი ყრილობის დელეგატების — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მზია არათანაშვილისა და რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მძახავის, სოციალისტური შრომის გმირის ელენე კოწიაშვილის პატრიოტული თაოსნობა — ხუთწლედის დავალება შეასრულონ ოთხ წელიწადში. ამ თაოსნობას უკვე 50 ათასი ახალგაზრდა გამოეხმაურა.

● მარტო ენგურჰესის საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 42 ახალგაზრდული ბრიგადა და ორი უბანი. კომუნისტური შრომის მოძრაობაში მონაწილეობს 900-ზე მეტი ახალგაზრდა.

საქართველოს ახალგაზრდობის 500-ზე მეტი წარგზავნილი მუყაითად შრომობს საკავშირო ობიექტებზე.

## სიტყვას — ფოლადის სიმტკიცე

ეს იყო 1958 წელს. ლაგოდეხის საშუალო სკოლამ, სადაც მაშინ ვსწავლობდი, ექსკურსია მოაწყო რუსთავში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქმა, მისმა წამყვანმა საწარმომ — მეტალურგიულმა ქარხანამ.

— დავამთავრებ თუ არა საშუალო სკოლას, აუცილებლად აქ წამოვალ, მტკიცედ გადავწყვიტე. მალე განცხადება შევიტანე რუსთავის პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩასარიცხავად. ჩემი სურვილი დააკმაყოფილეს. ორი წლის თავზე უკვე კომკავშირული საგზურით ქართველ მეფოლადეთა კოლექტივში ვიყავი.

მეტალურგებს სხვა დადებით მხარეებთან ერთად ერთი კარგი თვისებაც აქვთ: კოლექტივში ახალ მისულ კაცს ლვიძლ ძმასავით იღებენ და ყოველმხრივ დახმარებას უწევენ. მეც ასევე მომექცნენ. გავიჩინე პირველი მეგობრები. აბა როგორ შემიძლია დავივიწყო ცნობილ მეფოლადესთან გრ. ბერეკაშვილთან პირველი შეხვედრა, მისი თბილი საუბარი, რჩევა-დარიგება. დაძაბულ შრომასა და სწავლაში გადიოდა დრო. ისე შევეჩვიე კოლექტივს, რომ უმისოდ ცხოვრება ველარ წარმომედგინა.

შარშან მარტენის საამქროს კოლექტივმა დიდძალი ფოლადი მისცა სამშობლოს. პირადად ჩვენმა ღუმელმა გადაჭარბებით გაანაღდა წლიური გეგმა. მე, თუმცა მეფოლადის ხელშემწყობად ვმუშაობ გ. ფანჩვიძის ბრიგადაში, მაგრამ — გთხოვთ, კვეხნაში არ ჩამომართვათ — ხშირად დამოუკიდებლადაც ვადნობ ფოლადს და არც თუ ცუდად. ერთ-ერთი პირველი გამოვეხმაურე პატრიოტულ თაოსნობას — „ხუთი დღის გეგმა — ოთხ დღეში", „ყოველი მესამე ნადნობი — ჩქაროსნული".

ქარხანაში 1.350 კომკავშირელი მუშაობს. ამას წინათ შეჯამდა ლენინური ჩათვლების მეორე ეტაპის შედეგები. გამოირკვა, რომ შარშან „ეკონომიის კომკავშირულ ფონდში" კომკავშირელებმა 342.600 მანეთი შევიტანეთ. ლენინური ჩათვლების მიმდინარეობისას კვალიფიკაცია აიმაღლა 350 მუშამ, მეორე და მესამე პროფესიებს დაეუფლა 430 ახალგაზრდა.

ამავე პერიოდში მიზნად დავისახეთ საშუალო განათლების მიუღებლად არ დარჩენილიყო არც ერთი ახალგაზრდა. ჩათვლებში მონაწილეთაგან 340 ჭაბუკი და ქალიშვილი მუშა ახალგაზრდობის სკოლებში სწავლობს. პირადად მე ვემზადები მომავალ სასწავლო წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესასვლელად.

კარგი შედეგი გამოიღო ქარხნის კომკავშირელთა ინიციატივამ „ვიმუშაოთ ტექნიკური კონტროლის გაუწევლად", აგრეთვე საკავშირო ახალგაზრდულმა მოძრაობამ — „ხუთწლედს ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიება".

როგორც ზემოთ აღვნიშნე, წარმატებები გვაქვს, მაგრამ ისინი უფრო მეტი იქნებოდა, რომ ზოგჯერ მუშაობაში ხელშემშლელი მიზეზები არ გვქონდეს. არის ისეთი შემთხვევები, როცა ჯართი ან თუჯი არ გვყოფნის, ანდა დაგვიანებით ვიღებთ მათ. ზოგიერთი არღვევს შრომის დისციპლინას. ასეთი მუშები ნაკლებად ფიქრობენ საერთო საქმის წარმატებებზე, კოლექტივის ღირსებაზე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ საქმეში კომკავშირელებიც სცოდავენ. ასეთ ადამიანებთან მეტი აღმზრდელობითი მუშაობაა საჭირო.

პერსპექტივები დიდია. ხუთწლედის ბოლოს ქართველმა მეტალურგებმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ პროდუქციის წარმოება. ეს ძირითადად მოხდება არსებულ სიმძლავრეთა ეფექტურად გამოყენებით, შრომის სწორი ორგანიზაციითა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით.

პროდუქციის წარმოების ზრდის, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლების მიზნით საამქროში საინტერესო ღონისძიებებს ვახორციელებთ. ამათგან ყველაზე უფრო აღსანიშნავია: განმჟანგველის გამზადებისა და მისი მარტენის ნადნობში გადაცემის მექანიზაცია; გადამსხმელ და ჩასასხმელ ამწეთა კაბინებში კონდიციური ჰაერის მიწოდება; მარტენის ღუმელების სამართავ პულტებზე ვენტილაციის სისტემის დანერგვა და სხვ. ყოველივე ეს მიმდინარე ხუთწლედში განხორციელდება.

რუსთაველ კომკავშირელთა სახელით პირობას ვაძლევ საქართველოს ალკკ XXIX ყრილობას, რომ მეტალურგი, ქიმიკოსი და მშენებელი კომკავშირელები კვლავაც ვიქნებით პარტიის საქმის ერთგულნი, ყველაფერს გავაკეთებთ საყვარელი სამშობლოს სადიდებლად, ჩვენს სიტყვას საქმით დავამშვენებთ. იგი ფოლადივით მტკიცე იქნება.

**ე. შანიძე,**

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის ხელშემწყობი.

## ჩვენი ახალგაზრდული ენერგიით

კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც ვხელმძღვანელობ, არა მარტო ხობის რაიონში, არამედ მთელს რესპუბლიკაშიც ცნობილია თავისი შრომითი საქმიანობით. იგი მთლიანად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული.

რგოლი ყოველ წელს სასახელო მაჩვენებლებით ამთავრებს. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიეთ მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს. რგოლისათვის მოსავლელად მიჩენილ სამ ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 28 ტონა ხარისხოვანი ნედლეული გეგმით გათვალისწინებული 13,5 ტონის ნაცვლად. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 9.330 კილოგრამამდე ავიყვანეთ.

პირადად მე მოსავლელი მაქვს 0,4 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ამ ფართობზე შარშან გეგმით უნდა მომეკრიფა 3.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მაგრამ ეს ციფრი 6.500-მდე ავიყვანე. ჩვენი კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის წვლილიც არის იმაში, რომ კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 860 ტონის ნაცვლად მოკრიფა და მრეწველობას ჩააბარა 930 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

გამარჯვება ფავისით არ მოდის. ჩაის კულტურა შრომატევადია. იგი სათუთ მოვლას, ყოველდღიურ მზრუნველობას მოითხოვს. კარგად მოვლილი პლანტაცია კი უხვად გვინაზღაურებს გარჯას. ამიტომ არის, რომ წლიდან წლამდე თავს დავსტრიალებთ და თვალისჩინივით ვუვლით ჩაის თითოეულ ბუჩქს.

გასული წლის შემოდგომაზე და ამა წლის იანვარ-თებერვალში ამინდის არახელსაყრელი პირობები შეიქმნა. ძლიერ წვიმებს თოვლი და ყინვა მოჰყვა. პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანდა. მაგრამ ეს არ გვაშინებს. ახლა, გაზაფხულის დღეებში, დილიდან საღამომდე ვშრომობთ და მოვლას არ ვაკლებთ ჩაის პლანტაციებს, რათა ის გეგმა-ვალდებულება, რომელიც ხუთწლედის მეორე წლისათვის ვიკისრეთ, დროულად და წარმატებით შევასრულოთ.

ჩვენი რგოლის ვალდებულება კი არც თუ ისე პატარაა. კომკავშირულ-ახალგაზრდულმა რგოლმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის სეზონში მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 30 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც გეგმაზე ერთი-ორად მეტია.

წელს პირადად მოვკრეფ 7 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს გეგმით გათვალისწინებული 4 ათასი კილოგრამის ნაცვლად.

სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში ხალისს გვმატებს მჩქეფარე კომკავშირული ცხოვრება. ჩვენს ახალგაზრდებს ნაყოფიერი შრომის, სწავლისა და კულტურული დასვენების ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების მთელი სიდიადე კარგად რომ გვესმის, არ დავზოგავთ ჩვენს ახალგაზრდულ ენერგიას ხუთწლედის დავალებათა ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

**ქ. ოკუჯავა,**

ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის მერგოლური, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## მეც ერთი მათგანი ვარ...

სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა ყველაზე დიდი მეურნეობაა რაიონში და კარგახანია პირველობასაც არავის უთმობს. მის მინდვრებს, ვენახებს, სახნავ-სათესსა და საძოვრებს ოცი ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს.

ზემომაჩხაანელებს გვიყვარს ჩვენი კოლმეურნეობა, იმიტომ რომ იგი ყოველთვის პირნათლად ასრულებს სამშობლოს დავალებებს. სოფელი დღითიდღე შეძლებული და კეთილმოწყობილი ხდება.

შინაარსიანი და მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციაც (მდივანი მ. მაძღარაშვილი). ის თავის რიგებში ორასზე მეტ ახალგაზრდას ითვლის. ყველა მათგანი აქტიურად არის ჩაბმული საკოლმეურნეო შრომაში. კომკავშირული ორგანიზაციის მოღვაწეობის მაღალი აღიარება იყო მისი დაჯილდოება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობაზე ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანი ნ. მამაიაშვილი მიიწვიეს.

შარშან კომკავშირელთა ძალებით კოლმეურნეობაში 260 ცენტნერი ხორცი, 4.200 ცენტნერი რძე, 3.500 ცენტნერი ყურძენი და 8.250 ცენტნერი უხეში საკვები დამზადდა. მევენახეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი ც. ჭილიტაშვილი ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე 91 ცენტნერი ყურძენი მიიღო გეგმით გათვალისწინებული 65 ცენტნერის ნაცვლად. ბევრმა კომკავშირელმა მექანიზატორმა, მემინდვრემ, მევენახემ თუ მეცხოველემ სასახელოდ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი, წარმატებით ჩააბარა ლენინური ჩათვლების პირველი და მეორე ეტაპი. მეც ერთი იმათგანი ვარ და ვცდილობ არც მომავალში ჩამოვრჩე. არ ჩამოვრჩე-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ამასთანავე ვსწავლობ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

მწამს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის ცხოვრება უფრო სისხლსავსე და მჩქეფარე გახდება საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის შემდეგ.

**შ. ჯამასპიშვილი,**

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

## ნდობა და მოვალეობა

ჩვენი პარტიის XXIV ყრილობაზე, კერძოდ კი ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებაში, აღნიშნული იყო ის დიდი როლი, რომელიც ისტორიას, როგორც მეცნიერებას, აკისრია ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ისტორიის შესწავლა ხელს უწყობს ადამიანის პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობების განვითარებას.

საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილება, რომელშიც მე ვმუშაობ, იკვლევს საქართველოში ფეოდალიზმის ჩასახვისა და განვითარების პრობლემებს. ინსტიტუტის კოლექტივის დიდი გამარჯვებაა ის, რომ უკვე გამოვიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მრავალტომეულის პირველი ორი ტომი. სხვათა შორის, ასეთი სახის გამოცემა პირველია საბჭოთა კავშირში. გარდა ამისა, ინსტიტუტი ბეჭდავს შრომებს, ჩვენი თანამშრომლები კი ხშირად აქვეყნებენ თავიანთი მუშაობის შედეგებს ჟურნალ-გაზეთებში. აღსანიშნავია, რომ ავტორთა შორის ბევრი კომკავშირელია.

მართალია, მე უკვე სკკპ წევრი ვარ, მაგრამ კარგად ვიცნობ ჩვენი ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობას. ერთხანს კომკავშირის რაიკომის ლექტორთა ჯგუფის თავმჯდომარე ვიყავი. კომკავშირული ორგანიზაცია მთავარ ყურადღებას უთმობს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. ალკკ ორგანიზაციის ინიციატივით ეწყობა დისპუტები, ცალკეულ ნაშრომთა განხილვა და სხვადასხვა სახის ღონისძიებანი. ჩვენთან ბევრი ახალგაზრდაა და, ალბათ, ესეც განაპირობებს ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის კარგ მუშაობას.

ახლა ჩვენი ისტორიკოსების, არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების წინაშე დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანები დგას. არქეოლოგები განაგრძობენ ვანისა და სხვა ადგილების არქეოლოგიურ გათხრებს. იმედია, ისინი კვლავაც მოიპოვებენ მდიდარ მასალას საქართველოს კულტურისა და ისტორიისათვის. ეთნოგრაფები მოაწყობენ ექსპედიციებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში. მეც მსურს ჩემი წვლილი შევიტანო ინსტიტუტის მრავალმხრივ, საინტერესო მოღვაწეობაში. ამჟამად ვმუშაობ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების ისტორიაზე. მართალია, ამ საკითხზე ბევრი უმუშავნიათ ჩემს უფროს კოლეგებს, მაგრამ მაინც კიდევ ბევრია მისაკვლევი და გასაკეთებელი.

დასასრულ მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ახალი მიღწევებით გაახარებენ სამშობლოს.

**ი. კაჭარავა,**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

## ამის მოთავეა საქართველოს კომკავშირი

● საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ეწყობა შრომითი დინასტიების დღესასწაულები, შრომის წიგნაკისა და სახელობითი ინსტრუმენტების საზეიმოდ გადაცემა, მოსავლის ზეიმები, პროფესიული ოსტატობის კონკურსები, პირველი ხუთწლედის გმირთა შრომითი მოღვაწეობის საზეიმო აღნიშვნა, შეხვედრები რევოლუციის, შრომისა და ომის ვეტერანებთან, წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის წარჩინებულ ადამიანებთან.

● ახალგაზრდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ნამუშევრების დათვალიერებაში 60 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი მონაწილეობდა. მათი წინადადებების წარმოებაში დანერგვამ სამშობლოს 17 მილ. მანეთი მოგება მისცა.

● შარშან 75 ათასზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 180 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

● კომკავშირული საგზურებით გაგზავნილმა 450-ზე მეტმა ახალგაზრდამ აქტიურად იშრომა კოდისა და მეჭურჭლეობის მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობებზე ორი წლით ადრე დამთავრებისათვის.

## პარტიული კადრების სწავლება

2 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში დამთავრდა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადამზადების კურსების მორიგი ნაკადის მეცადინეობა. კურსების მსმენელები — მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, რომლებიც განაგებენ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხებსა და პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის სხვა უბნებს, სწავლობდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის, პარტიული მშენებლობის, სოციალისტური ეკონომიკის მეცნიერული მართვის აქტუალურ პრობლემებს.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. მაზუროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. კირილინი, ვ. ა. ნოვიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. ი. სავინკინი, ვ. თ. შაური, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ა. ა. ეპიშევი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი მ. ვ. ზიმიანინი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟელნიკოვი, მინისტრები, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიისა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის პროფესორები და მასწავლებლები.

კურსებზე გაიმართა გამოცდილების გაზიარება.

მოხსენებანი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მუშაობის პრაქტიკის შესახებ წაიკითხეს სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ვ. რომანოვმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. კ. ლუტაკმა, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ზ. ს. ზოლოტუხინმა, სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ი. მასლენიკოვმა.

კურსების მსმენელები გაეცნენ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის, ლენინგრადის, კიევისა და მინსკის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილებას.

## ავსტრალიელი სტუმარი

8 მარტს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ავსტრალიის ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი მაიკლ იანგი მეუღლითურთ. იგი საბჭოთა კავშირში იმყოფება საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით.

— ჩემი ჩამოსვლის მიზანია,— განუცხადა მაიკლ იანგმა საქინფორმის კორესპონდენტს, — გავეცნო იმ როლს, რომელსაც პროფკავშირები ასრულებენ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში.

ჩამოსვლის დღეს მაიკლ იანგი შეხვდა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანს ნ. ვასაძეს. საუბრის დროს მან ავსტრალიელ სტუმარს გააცნო რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება, საქართველოს პროფკავშირების საქმიანობა.

(საქინფორმი).

## დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 3 მარტის ბრძანებულებებით პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

შოთა მიხეილის-ძე თათარაშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით.

ნინო ლევანის ასული მარდალეიშვილი — საქართველოს...

## ახალგაზრდობა — იმპერიალიზმის წინააღმდეგ

# ლაპარაკობს ანჯელა დევისი



სან-ხოსე. (კალიფორნიის შტატი). 4 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.).

ეგრეთწოდებული „ანჯელა დევისის საქმის" დახურვისათვის კამპანიას, რომელიც გაიშალა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბევრ სხვა ქვეყანაში, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სან-ხოსეს სასამართლო პროცესისათვის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა პოლიტიკური პატიმრის ბედისათვის, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ამერიკელმა კომუნისტმა ანჯელა დევისმა.

სულითა და გულით ვუძღვნი მადლობას ყველა ამერიკელს, ყველა ჩემს მეგობარსა და თანამოაზრეს საზღვარგარეთ, და კერძოდ საბჭოთა კავშირში, რომლებიც მტკიცედ გამოვიდნენ ჩემს დასაცავად, ხაზგასმით აღნიშნა ა. დევისმა. წერილებისა და დეპეშების უსასრულო ნაკადი, სადაც მიცხადებდნენ სოლიდარობას, საპყრობილეში 16 თვის ყოფნის მანძილზე განამტკიცებდა ჩემს მორალურ ძალებს. სწორედ ეს საპროტესტო კამპანია გახდა უთუოდ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ჩემი განთავისუფლება საწინდარით.

ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ გათავისუფლებისათვის არ არის მხოლოდ ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებისა და საპყრობილეების ანტიხალხური სისტემის წინააღმდეგ, თქვა ანჯელა დევისმა. ამავე დროს ეს არის ბრძოლა თვით კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. შეერთებული შტატების მმართველი წრეების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ ბატონობა და ამისათვის სისტემატურად თითხნიან „სასამართლო საქმეებს" ყველა სხვაგვარად მოაზროვნის წინააღმდეგ.

სწორედ ამიტომ კამპანია პოლიტიკური რეპრესიების შეწყვეტისათვის, რომელიც ახლა ყველა პატიოსან ამერიკელს აერთიანებს, გახდა რასიზმისა და მშრომელთა სულ უფრო სასტიკი ეკონომიური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული საგარეო პოლიტიკის გადასინჯვისათვის, და უწინარეს ყოვლისა ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის, იმისათვის, რომ ხელისუფლება ქვეყანაში ნამდვილად ხალხს ეკუთვნოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალიზმისათვის მთელი პროგრესული ამერიკის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი რგოლი. მჯერა, რომ დადგება დრო, როცა შეერთებულ შტატებში გაიმარჯვებს სოციალიზმი, ხაზგასმით აღნიშნა ანჯელა დევისმა.

ექსპლოატატორებზე ამერიკელ მშრომელთა ამ მომავალი გამარჯვების საწინდარია ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა კლასის მზარდი პოლიტიკური თვითშეგნება, სტუდენტთა და მთელი ახალგაზრდული მოძრაობის აქტივიზაცია, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ზანგების, პუერტორიკოელთა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა მასობრივი ბრძოლის გაძლიერება და, რაც მთავარია, სიმართლისა და სამართლიანობისათვის, სიცრუისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ყველა მებრძოლის მზარდი ერთიანობა.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრი სწორედ იმიტომ გავხდი, რომ გადავწყვიტე სიცოცხლე შემეწირა ჩემი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში, აღნიშნა ანჯელამ. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი გვაძლევს კაცობრიობის განვითარების ჭეშმარიტად მეცნიერულ ანალიზს და სახავს იმ ღრმა კრიზისიდან გამოსვლის რეალურ გზას, რომელშიც კაპიტალისტური საზოგადოება იმყოფება. ეს გზაა სოციალიზმის მშენებლობა.

ძალიან მინდა ჩავიდე საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში და პირადად გავეცნო თავისუფალი ადამიანების შესანიშნავ მიღწევებს, თქვა საუბრის დასასრულს ანჯელა დევისმა. იმედი მაქვს, რომ ეს ოცნება მალე ამიხდება.

**ე. ბასკაკოვი.**

## კუბის ერთ ქარხანაში

ჰავანა. 4 მარტი. (საკდესი). ქალაქ ნუევიტასის კომუნისტური შრომის სამშენებლო-სამონტაჟო რაზმმა იკისრა ვალდებულება ვადაზე შვიდი თვით ადრე დაამთავროს კუბის ერთ-ერთი უდიდესი სასუქების ქარხნის მშენებლობა.

ამ რაზმში შემავალ 1.800 ახალგაზრდა მუშას, რომელთა ორ მესამედს კომუნისტები და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წევრები შეადგენენ, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ შრომითს გამარჯვებას.

შარშან მშენებლებმა შეასრულეს თითქმის 2,5 მილიონი პესოს სამუშაოები, რაც ერთიორად აღემატება წინა წლის დონეს. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია სამუშაოთა მოცულობა 3 მილიონ პესომდე გაზარდონ.

ქარხნის მშენებლობაზე შრომითი ენთუზიაზმი სუფევს.

მშენებლობაზე მომუშავე საბჭოთა სპეციალისტები კუბელ მეგობრებს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებასა და ცოდნას.

## მდგომარეობა კვიპროსში

ნიქოზია, 4 მარტი. (საკდესი). გუშინ ნიქოზიაში გაიმართა გრანდიოზული მიტინგი პრეზიდენტ მაკარიოსის მხარდასაჭერად, რომლის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია გააჩაღეს საბერძნეთის ხუნტამ და დასავლეთის ნატოსთან დაკავშირებულმა ძალებმა. მიტინგში მონაწილეობდა ათიათასობით კაცი — კვიპროსის მეტი წილი პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, გლეხები, მუშები, მოსწავლეები. ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი მანიფესტაცია კვიპროსის ისტორიაში.

ხალხი მიტინგზე ჩამოვიდა კუნძულის მრავალი ქალაქიდან და სოფლიდან. პატარა მოედანმა მაკარიოსის რეზიდენციის წინ ვერ დაიტია ყველა მსურველი.

მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა დაგმეს უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილება, რომელმაც მოითხოვა მაკარიოსის გადადგომა პრეზიდენტის პოსტიდან. ორატორებმა განაცხადეს, რომ სინოდის ზურგს უკან მოქმედებენ კვიპროსელი ხალხის ინტერესებისათვის უცხო ძალები. მიტინგის მონაწილეებმა სრული ნდობა გამოუცხადეს მაკარიოსს როგორც პრეზიდენტს.

პრეზიდენტმა მაკარიოსმა მიტინგზე განაცხადა: „ყოველთვის ვიცოდი, რომ ხალხის ნდობისა და მხარდაჭერის ღირსი ვიყავი".

## პაკისტანის ამბები

ლონდონი, 4 მარტი. (საკდესი). პაკისტანის პრეზიდენტმა ბჰუტომ გადააყენა სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ავიაციის მარშალი რაჰიმ ხანი და პაკისტანის არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი გულ ჰასანი. ამას იტყობინება რეიტერის სააგენტო, რომელიც იმოწმებს პაკისტანის პრესის სააგენტოს. ეს ორი სარდალი სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ ძალებს პრეზიდენტ იაჰია ხანის გადაყენების შემდეგ.

არმიის შტაბის უფროსად დანიშნეს გენერალ-ლეიტენანტი ტიკა ხანი, რომელიც ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ პაკისტანის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის ოპერაციებს.

როგორც უცხოეთის სააგენტოთა ცნობებიდან ჩანს, ყარაჩისა და რავალპინდში დახურულია ტელეგრაფი, რადიო და ტელევიზია, რომლებსაც ალყა შემოარტყა პოლიციამ.

## მსოფლიო დღეს

# ჟურნალისტთა შემოქმედებითი შეჯიბრება

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ გამოაცხადეს **სრულიად საკავშირო კონკურსი რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებში, ტელევიზიასა და რადიოში სამხედრო-პატრიოტული თემის უკეთ გაშუქებისათვის.**

კონკურსი იწყობა 1972 წლის თებერვლიდან 1973 წლის თებერვლამდე.

შემოქმედებითს კონკურსში რედაქციების მონაწილეობა შეფასდება მასალებით, რომლებიც პროპაგანდას უწევენ სოციალისტური საზოგადოების დაცვის ლენინურ იდეებსა და საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, აშუქებენ საბჭოთა არმიის — ხალხთა მეგობრობის არმიის ძალისა და უძლეველობის წყაროებს, საბჭოთა მეომრების — სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების საგმირო საქმიანობას ჩვენი სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში. ამასთან გათვალისწინებული იქნება, თუ როგორ აშუქებენ თანამედროვე თემას, არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის წვრთნასა და სამსახურს გაზეთები, ტელევიზია და რადიო, როგორ უჩვენებენ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საქმიანობას საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესრულებისათვის.

**კონკურსის გამარჯვებულებებისათვის დაწესებულია 26 პრემია,** მათ შორის სამი პირველი პრემია 400 მანეთის ოდენობით. გარდა ამისა დაწესებულია არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის შვიდი პრემია.

პრემიებით აღნიშნული რედაქციები დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს სიგელებით.

**კონკურსის შედეგების შესაჯამებლად შეიქმნა ცენტრალური ჟიური. რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ჟურნალისტთა ორგანიზაციები შექმნიან ადგილობრივ ჟიურებს, რომლებიც შეარჩევენ მასალებს პრემიების მოსაპოვებლად და გაუგზავნიან ცენტრალურ ჟიურის 1973 წლის 1 იანვრისათვის.**

კონკურსის საბოლოო შედეგებს შეაჯამებს ცენტრალური ჟიური 1973 წლის 23 თებერვლისათვის — საბჭოთა შეიარაღებული ძალების 55 წლისთავისათვის. (საკდესი).

## მიფრინავს „კოსმოსი-477“

1972 წლის 4 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-477“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).



ენგურჰესის საკავშირო კომკავშირული დამკვრელური მშენებლობა.

ფოტო ა. ხაჭიშვილისა.

### ეძღვნება დიდ თარიღს

## სტუმრად სომეხ მეგობრებთან

რუსთავი. (საკ. კორ.). საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად მოძმე სომხეთში ჩატარდა საქართველოს დღეები. ამ დღესასწაულზე საქართველოდან მიწვეული იყვნენ მეტალურგიული ქარხნის წარმომადგენლები და მეტალურგთა კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

ალუმინის ქარხნის კულტურის სასახლეში გაიმართა ორი მოძმე ხალხის წარმომადგენელთა შეხვედრა. სტუმრებმა და მასპინძლებმა ურთიერთ, მტკიცე მეგობრობის ნიშნად ერთმანეთს გადასცეს საჩუქრები, გამართეს კონცერტები.

სომხეთის ტელევიზიამ საქართველოდან ჩასულ სტუმრებს 45 წუთი დაუთმო. ქართველმა მეტალურგებმა უჩვენეს თავიანთი მხატვრული შემოქმედებაც.

რუსთავიდან წარგზავნილებმა დაათვალიერეს ერევნის ღირსშესანიშნაობანი, ქალაქის ახალი საცხოვრებელი კვარტალები და სამრეწველო საწარმოები.

### საქართველოს მთა-ბარში

## იღებენ ფილმს გ. დიმიტროვის შესახებ

ბათუმი, 3 მარტი. (საქინფორმი). აჭარაში იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კინოდოკუმენტალისტთა და ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ლაზარე პეტროვი, ბორის დანკოვი და ვეჩესლავ ვასილკოვსკი.

1972 წლის 18 ივლისს სრულდება ბულგარეთისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის გიორგი დიმიტროვის დაბადების 90 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ინიციატივით იქმნება დოკუმენტური ფილმი, რომელშიც აისახება ბულგარელი ხალხის სახელოვანი შვილის რევოლუციური საქმიანობა.

გიორგი დიმიტროვის სახელი კარგად არის ცნობილი აჭარის მშრომელთათვის. როგორც ვიცით, 1934 წლის ივლისში ლაიფციგის პროცესის შემდეგ დედასთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად იგი თბომავლით „ყირიმით“ ჩამოვიდა ბათუმში, რესპუბლიკის მშრომელებმა გულითადი შეხვედრა მოუწყვეს ძვირფას სტუმრებს.

გიორგი დიმიტროვმა დაათვალიერა ბათუმის ღირსშესანიშნაობანი, იყო ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, ეწვია ჩაქვის ჩაის ფაბრიკას, დაისვენა მწვანე კონცხზე. იგი გამოვიდა ბათუმის მშრომელთა ხალხმრავალ მიტინგზე, გაიმართა პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალისტური შეჯიბრების დამკვრელნი. ეს კრება მიეძღვნა გიორგი დიმიტროვის ყოფნას აჭარაში.

ბათუმიდან გიორგი დიმიტროვი სამკურნალოდ ბორჯომს გაემგზავრა. გამგზავრების წინ მან წერილით მიმართა საბჭოთა აჭარის მუშებს, კოლმეურნეებს, ყველა მშრომელს, რომელშიც გამოთქვა აღტაცება სოციალიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მათ მიერ მოპოვებული წარმატებების გამო.

ბულგარელი კინოდოკუმენტალისტები და ჟურნალისტები იყვნენ იმ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია აჭარაში გიორგი დიმიტროვის ყოფნასთან. მათ გადაიღეს საინტერესო კადრები.

## უშიშარი მძღოლები

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ცეკავშირის საქკოოპტრანსმომარაგების ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო კანტორა ამ ოთხიოდე წლის წინათ ძირითადად მესტიის რაიონისათვის შეიქმნა.

ავტოკანტორის მძღოლებს თამამად შეიძლება უშიშარი სულის ადამიანები ვუწოდოთ, რომლებსაც ზღვის დონიდან 1.400-2.000 მეტრ სიმაღლეზე დააქვთ ათობით ტონა სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

ციცაბო კლდეებზე გაყვანილ მიხვეულ-მოხვეულ გზებზე მძღოლის ერთი შეცდომა უფსკრულში გადაჩეხს მანქანას. ამიტომ აქაური მძღოლები მუდამ ფხიზლობენ და გამართულად დაჰყავთ მანქანები. შედეგიც კარგია. ოთხი უკანასკნელი წლის მანძილზე არც ერთი ავარია და საგზაო შემთხვევა არ ჰქონია კანტორას (დირექტორი ა. ლაგვილავა).

გამოცდილი მძღოლების ლადო ჯაჭვლიანის, ბესო გულედანის, კოკოშა ჩალიგავას, ვალიკო ხვიტიას, ჯუმბერ ნანავას და სხვათა თავდადებული შრომის შედეგია, რომ ავტოსატრანსპორტო კანტორა ტვირთგადაზიდვის და ტონა-კილომეტრების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. შარშან კანტორამ სახელმწიფოს 17.347 მანეთი მოგება მისცა.

გ. ნოდია.

## ბუნების ქომაგნი

მზიური აჭარაში ორ ათეულ წელზე მეტია წლევანდელისთანა მკაცრი ზამთარი არ ყოფილა.

დეკემბერშივე ადრეულ აცივებას მთებში თოვლი და სუსხი მოჰყვა, ალაგ-ალაგ მოუკრეფავი ციტრუსოვანთა ბაღებიც კი თეთრ საბურველში გაეხვია. შუა იანვრიდან კი ძლიერი თოვა დაიწყო, რასაც მკვეთრი აცივება მოჰყვა. ღრმა თოვლის საფარქვეშ აღმოჩნდა მთები და გორაკები, ტყეები და ველ-მინდვრები, ჭაობიანი ადგილები და პატარა ტბებიც კი, ყველაფერი ეს პირველ რიგში ნამდვილ სტიქიურ უბედურებად დაატყდა გარეულ ნადირ-ფრინველს, მათთვის მიუწვდომელი გახდა საკვები.

ასეთ პირობებში ტყის ბინადარი იძულებულია თავისი სამფლობელოდან გადაიხვეწოს და ადამიანის ახლოს ეძებოს თავშესაფარი. შიმშილი და სიცივე აიძულებს მას თავდაცვის მძლავრი ინსტინქტი — სიფრთხილე მოადუნოს და, სიცოცხლის საფრთხის მიუხედავად, ბარში, დასახლებულ ადგილებს მიაშუროს.

ამ დროს ნადირიც კი შველას სთხოვს ადამიანს, და მას აუცილებლად უნდა გავუწოდოთ დახმარების ხელი. ვისაც უყვარს მშობლიური ბუნება, მისი ტყეები და მდინარეები, მისი მთებისა და ველების განუმეორებელი სილამაზე, — მას უნდა უყვარდეს ფრინველ-ნადირიც, რომელიც ბუნების ნამდვილ სამკაულს წარმოადგენს. სტიქიისაგან გაჭირვებაში ჩავარდნილ ცხოველებსა და ფრინველებს საკვებურები უნდა მოვუწყოთ, თივა და ძირხვენები დავუყაროთ, მარცვლეული მიმოვაბნიოთ თოვლისაგან დაცულ ადგილებში, ყველაფერი ვიღონოთ, რომ ნადირ-ფრინველებმა თავი გადაირჩინონ გაჭირვების ჟამს.

ასე უნდა მოიქცეს ყველა ჩვენგანი, ყველა მოსწავლე და პიონერი. ახალგაზრდობას ხომ ბუნების სიყვარულს მერხიდანვე უნდა უნერგავდნენ სკოლა და ოჯახი.

გასულ წელს შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს სოფელ კირნათის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა. მათ იკისრეს მთელი რიგი ზოოტექნიკური და სხვა ღონისძიებები ბუნების საუნჯეთა დასაცავად. ბუნებრივია, მათ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა.

ვერ ვიტყვით, რომ აჭარაში ბუნების დაცვას და სამონადირეო მეურნეობის განვითარებას ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდეს. მაგრამ ფაქტები მეტყველებს, რომ ბრაკონიერობა ჯერ კიდევ გრძელდება და ჩვენი ფაუნის ზარალი კვლავ საკმაოდ დიდია.

ბრაკონიერებმა და ბუნების მტრებმა სწორედ ახლა, მკაცრი ზამთრის პირობებში იხელთეს დრო — სამალავში წაასწრეს შიმშილ-სიცივით დაჯანღაკებულ გარეულ ცხოველებს და მიზრხნით სროლა აუტეხეს. სწორედ ასე მოიქცნენ ხულოს რაიონის სოფელ ძირკვაძეების მცხოვრებნი ნოდარ ზეირანის-ძე თავართქილაძე და შაჰზად თურმანის-ძე თავართქილაძე. იანვრის პირველ რიცხვებში, მაშინ როცა ლორზე ლიცენზიებით ნადირობის ვადა გასული იყო, დაუნდობლად ამოხოცეს 9 გარეული ღორი. ეს ამბავი არ გამოჰპარვიათ მილიციის ორგანოებს, აჭარის მონადირეთა კავშირს და ბრაკონიერების საქმე ხულოს რაიონის პროკურატურას გადასცეს.

შარშან აჭარის მონადირეთა კავშირის ეგერებმა **ი. მხეიძემ, ა. გვარჯალაძემ და ი. ფალავამ** 80 ბრაკონიერს წაასწრეს დანაშაულზე, მაგრამ მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. სამი კაცი, აბა, რას გასწვდება! ბრაკონიერების წინააღმდეგ ყველა ჩვენგანმა უნდა აღიმაღლოს ხმა, გავაფართოოთ საზოგადოებრივ ინსპექტორთა ინსტიტუტი. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სამონადირეო სავარგულების მფლობელმა ორგანიზაციებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ, კოლმეურნეებმა. ერთ ფაქტს ამ უკანასკნელთა კეთილშობილობაზე მოგითხრობთ.

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ქედქედის ღრმა თოვლით დაფარულ ფლატეებში, მდინარე მაჭახლის მარცხენა ნაპირზე ეზოს ძაღლებმა გეში აიღეს. ბევრი ძებნაც არ დასჭირვებიათ, მალე მიაგნეს თოვლში ჩაფლულ შველის კვალს და დაედევნენ.

უმწეო პირუტყვს მხოლოდ სისწრაფემ უშველა. იგი დაბლა, სოფლის ცენტრისაკენ დაეშვა. მაგრამ აქ სხვა დაბრკოლება დახვდა — მაჭახელჰესის გრძელი და განიერი არხი. ამაზე უთქვამთ — წინ წყალი, უკან მეწყერიო. აი, სადაც არის მდევრები ქანჩაში სწვდებიან საბრალო შველს. თავგანწირული ნახტომი, და... შველი მაჭახლის ყინულოვან ტალღებში აღმოჩნდა. მანამდე აქ ბევრი შინაური პირუტყვი ჩავარდნილა და არც ერთს არ მიუღწევია მეორე ნაპირამდე... ბედად, ახლოს კეთილი ადამიანები აღმოჩნდნენ. ავტობუსის მძღოლი შოთა ფუტკარაძე და მონტიორი ხასან არჯევანიძე ძაღლების ყეფაზე მაშინვე მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. წამსვე არხის პირას გაჩნდნენ და დიდი გაჭირვებით მდინარიდან ამოიყვანეს გათოშილი, აკანკალებული და დამფრთხალი შველი.

ერთი კვირის განმავლობაში არ მოუკლიათ მზრუნველობა ტყის ბინადრისათვის, გამოკვებეს, დაარწყულეს, განაკაწრები მოუშუშეს და როცა მოღონიერდა, აჭარის მონადირეთა კავშირს ჩააბარეს.

ბარად ჩამოვარდნილი მამალი შველი, რომელსაც, ალბათ, „მეუღლე მთაში მოუკლეს“, ახლა ცალად როდი დაეხეტება. იგი თაკერის სამონადირეო მეურნეობის ტყეებში შეუერთდა თანამოძმეებს...

ბუნების დაცვა საყოველთაო, სახალხო საქმეა. და მოდით, ჩვენი ლამაზი ბუნების კიდევ უფრო გამშვენიერების ინტერესებისათვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების, ერის ინტერესებისათვის საიმედო ქომაგად ვედგეთ ღებუნებას, დახმარების ხელი არა მარტო განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს, არამედ ბუნებას, მის წიაღში მონავარდე ნადირსა და ფრინველსაც სჭირდება.

რ. ფალავანდიშვილი.

• • •



**სურათზე:** შ. ფუტკარაძე (მარცხნივ) და ხ. არჯევანიძე გადარჩენილი შველით.

ფოტო ავტორისა.

## ერთი მატჩის ოთხი ტაიმი

**გუშინდელ მატჩს თბილისში** მეტოქეთათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. კიევის „სტროიტელი“ ისწრაფვოდა ლიდერთა ჯგუფში პოზიციის განმტკიცებისათვის, დინამოელ კალათბურთელებს კი უკან დასახევი გზა არ გააჩნდათ, მათ მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ეზრუნათ. ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა ის სიმძაფრე, რომელიც წითელ ზოლად გასდევდა მთელ თამაშს.

თბილისელები აღმავლობით იბრძოდნენ ძლიერ მეტოქესთან და ხშირად წინ იყვნენ. მაგრამ აი თამაშის დამთავრებას რომ 3 წუთი აკლდა ტაბლოზე იყო ციფრები — 68:68, შემდეგ 70:70, 72:72, ხოლო საბოლოოდ, როცა დრო ამოიწურა — 75:75.

დაინიშნა დამატებითი ტაიმი. აქაც თანაბარი ანგარიში —81:81. მხოლოდ მეორე დამატებით დროში გადაწყდა მატჩის ბედი, გამარჯვეს თბილისელებმა 87:86.

**კაუნასში** არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა დაამარცხა ვილნიუსის „სტატიბა“ 84:77. ახლა ცსკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკს 15-15 ქულა აქვთ.

## კალათბურთის იუბილესათვის

**ოლიმპიურ სეზონში** კალათბურთის თაყვანისმცემლებს არა ერთი მნიშვნელოვანი ასპარეზობა მოელით. როგორც ცნობილია, 19 ივნისს კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას არსებობის ორმოცი წელი უსრულდება. ამ მოვლენის აღსანიშნავად მოეწყობა ოთხი მატჩი ოლიმპიური ჩემპიონის ამერიკის შეერთებული შტატების გუნდსა და ევროპის ნაკრებს შორის.

პირველი ასეთი მატჩი შედგება ზაგრებში 17 ივნისს, მეორე — ჟენევაში 19 ივნისს, მესამე — მადრიდში 21 ივნისს, მეოთხე — პარიზის მახლობლად ტუკაში 23 ივნისს.

ევროპის ნაკრებში შეყვანილია ცხრა ქვეყნის წარმომადგენლები. აი ისინი: ევროპის არაერთგზის ჩემპიონები, საბჭოთა კალათბურთელები — მ. პაულაუსკასი (კაუნასის „ჟალგირისი“), ა. ბელოვი (ლენინგრადის „სპარტაკი“), ი. ედეშკო, ა. ჟარმუხამედოვი, ს. ბელოვი (სამივე ცსკადან); მსოფლიოს ჩემპიონები იუგოსლაველი კალათბურთელები — კ. ჩოსიჩი, ნ. პლეჩაში და ლ. სიმონოვიჩი; იტალიელები — დ. ელინი და დ. მენეგინი; პოლონელები — ი. დოლჩევსკი და ე. იურკევიჩი; ბულგარელები — ა. გოლომეევი და გ. ხრისტოვი; ჩეხოსლოვაკიელი ი. ზედნიჩენკი; ფრანგი ა. ჟილი; ესპანელი კ. სლაიკი და დასავლეთგერმანელი ნ. ტიმი. გუნდის ხელმძღვანელია ბ. სტანკოვიჩი (იუგოსლავია), მწვრთნელად დასახელებულია ვ. ზაგურსკი (პოლონეთი).

## საჭადრაკო ოლიმპიადა

**მოსკოვში** გრძელდება მოჭადრაკეთა გრანდიოზული ფესტივალი — პირველი ოლიმპიადა. ორი ტურის შემდეგ აბსოლუტურად უკეთესი შედეგი აქვს რსფსრ-ის გუნდს — 17,5 ქულა და 3 გადადებული პარტია.

მეორე ადგილზეა საქართველოს გუნდი — 15,5 ქულა და 5 გადადებული პარტია, მესამეზე — უკრაინის ნაკრები — 15 ქულა და 4 გადადებული პარტია.

### საქართველოს ნაკრები — მეორე ადგილზე

□

პირველი ტურის გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ ანგარიშები ასეთია: აზერბაიჯანი — ლენინგრადი 2,5:9,5, ლიტვა—ესტონეთი 2,5:7,5 (2 პარტია გადადებულია), ტაჯიკეთი — ყაზახეთი 2:7 (3), მოსკოვი — ბელორუსია 7,5:2,5 (2), სომხეთი — საქართველო 2:8 (2), უკრაინა — უზბეკეთი 7,5:2,5 (2), მოლდავეთი — ყირგიზეთი 6:6.

აი მეორე ტურის შედეგები: ესტონეთი — თურქმენეთი 6,5:2,5 (3), აზერბაიჯანი—ლიტვა 4,5:2,5 (5), ყაზახეთი — მოსკოვი 3:6 (3), ლატვია—ტაჯიკეთი 7,5:0,5 (4), საქართველო — ყირგიზეთი 7,5:1,5 (3), უზბეკეთი — მოლდავეთი 5:3 (4), სომხეთი—უკრაინა 2,5:7,5 (2).

### სსრ კავშირის თასზე

## მეთექვსმეტედფინალის სიურპრიზები

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩები ფეხბურთში.

**თბილისის** დინამოელები ხარკოვს ეწვივნენ და აქ მეთექვსმეტედფინალის პირველი შეხვედრა ჰქონდათ ადგილობრივ „მეტალისტთან“. წარმატება ხარკოველებს ხვდათ 2:0.

**ოდესაში** „ჩერნომორეცმა“ დაამარცხა ვოროშილოვგრადის „ზარია“ 5:3 (მათი პირველი შეხვედრის შედეგი იყო 0:0) და მერვედფინალში გავიდა.

**ხოსტაში** მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ მეორე მატჩიც ფრედ 1:1 დამთავრდა (პირველი შეხვედრის შედეგი იყო 0:0). „ლოკომოტივი“ გამოეთიშა თასისათვის ბრძოლას.

**ზაპოროჟიეში** ადგილობრივმა „მეტალურგმა“ სძლია ბაქოს „ნეფტჩის“ 3:0 (პირველი წაგებული ჰქონდა 0:1) და განაგრძობს თასისათვის ბრძოლას.

**სოჭში** სვერდლოვსკის „ურალმაშისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0, მაგრამ რადგან სპარტაკელებს პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდათ 5:1, ისინი მერვედფინალში გავიდნენ.

**უარაგანდის** „შახტიორისა“ და მინსკის „დინამოს“ მატჩში წარმატება „შახტიორს“ ხვდა 1:0. პირველი მატჩის შედეგი იყო 1:1.

**ნალჩიკის** „ავტომობილისტი“ დამარცხდა დონის როსტოვის სკასთან შეხვედრაში 0:1. პირველი მატჩი დამთავრდა 0:0.

**ერევნის** „არარატმა“ მოუგო ლენინგრადის „დინამოს“ 1:0, მაგრამ პირველი წაგებული ჰქონდა 0:2.

**დუშანბეს** „პამირისა“ და ლვოვის „კარპატის“ მატჩის შედეგია 1:3. პირველი მატჩიც „კარპატმა“ მოიგო 1:0.

## გადასვლები

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა და სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ დაამტკიცეს სპორტულ-ტექნიკური კომისიის გადაწყვეტილება ფეხბურთელთა გადასვლების შესახებ.

ვ. შევჩენკო ბაქოს „ნეფთჩიდან“ გადავიდა კიევის „დინამოში“, ვ. ივანოვი — მოსკოვის „სპარტაკიდან“ დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“, ი. გრიგორიევი — მოსკოვის „სპარტაკიდან“ მინსკის „დინამოში“, ვ. რეხვიაშვილი — თბილისის „დინამოდან“ ქუთაისის „ტორპედოში“, ჯ. ხილაგაძე — მოსკოვის „სპარტაკიდან“ ქუთაისის „ტორპედოში“.

# სპორტი

### ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

## სკობლარის 44 გოლი

**იუგოსლავ** ოსტატთა დიდი ჯგუფი უცხოეთის სხვადასხვა კოლექტივებში გამოდის. ასე, მაგალითად, წარსულში კარგად ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი გალიჩი საფრანგეთის „სტად დერეიმსში“ თამაშობს, ტაკაჩი „სტანდარდის“ (ლიეჟი) წამყვანი თავდამსხმელია, ვასოვიჩი—„აიაქსის“ (ამსტერდამი) დაცვის ბურჯი, სკობლარი კი... აი, ამ ფეხბურთელზე ღირს სიტყვის გაგრძელება...

შარშან 30 წლის სკობლარს პოპულარული ჯილდო „ოქროს ბუცი“ მიენიჭა. იგი აღმოჩნდა ევროპის ყველა (!) ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი. სკობლარი საფრანგეთის პირველი „დივიზიონის“ (ასე ეძახიან აქ უმაღლეს ლიგას) კლუბ „ოლიმპიკში“ (მარსელი) გამოდის. ფრანგული კლუბების საკმაოდ მაღალი კლასის მიუხედავად, სკობლარმა განსაკუთრებულ, განსაცვიფრებელ შედეგს მიაღწია: მან ჩემპიონატში 44 გოლი გაიტანა. მაღალი შედეგი აქვს წლევანდელ ჩემპიონატშიც...

ეს მაშინ, როდესაც მიმომხილველთა საერთო აზრით, იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელები ვერ ბრწყინავენ მაღალი კლასით (აქ გამონაკლისია მხოლოდ პოპულარული დ. ჯაიჩი) და შედეგიანობით. ამიტომ იუგოსლავიელმა გულშემატკივრებმა წერილები დააყარეს ნაკრების მწვრთნელს ვ. ბოშკოვს და მოითხოვენ მოიწვიოს სკობლარი.

ბოშკოვი რამდენადმე საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ მისმა წინამორბედმა რ. მიტიჩმა უარი განაცხადა ნაკრებში უცხოეთში მყოფ იუგოსლაველთა მოწვევაზე და კურსი ახალგაზრდებზე აიღო.

ახალგაზრდები რჩებიან, მაგრამ 44 გოლიც ფრიად დამაჯერებელი არგუმენტია. ამიტომ ბოშკოვმა პრესით უპასუხა გულშემატკივრებს:

„ნაკრებში სკობლარის მოწვევის იდეა ფრიად საინტერესოა, მით უმეტეს, რომ მე ბევრ წერილს ვიღებ ასეთი წინადადებით. წინ არის ორი ერთობ პასუხსაგები მატჩი საბჭოთა ნაკრებთან, რომლისთვისაც მთელი ძალა უნდა მოვიკრიბოთ. ამიტომ შესაძლოა სკობლარიც მოვიწვიოთ“.

შემდეგ ბოშკოვმა განაცხადა, რომ საფრანგეთში მომუშავე სამი იუგოსლაველი მწვრთნელი მას სისტემატურად წერს სკობლარის ახლანდელი საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. ნაკრებში დაბრუნების შესახებ სკობლარს უკვე ესაუბრნენ. ახლა ყველაფერი იუგოსლავიის გუნდის ახალგაზრდა თავდამსხმელებზეა დამოკიდებული — თუ ისინი უახლოეს ხანებში სათანადო დონეზე ვერ ითამაშებენ და მათ მიმართ ნაკრების ხელმძღვანელობას რაიმე პრეტენზია ექნება, ცენტრალური თავდამსხმელის ან მარჯვენა გარემარბის პოსტი სწორედ სკობლარს დაეთმობა, თუმცა ეს გარკვეულ პრინციპებზე ხელის აღებას ნიშნავს.

გ. გამრეკელი.


## ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. ქიმიის კათედრის დოცენტი — 1 საშტატო ერთეული.
2. ბოტანიკა-ზოოლოგიის კათედრის დოცენტი — 1 საშტატო ერთეული.
3. ბოტანიკა-ზოოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 საშტატო ერთეული.
4. ფილოსოფიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 საშტატო ერთეული.
5. ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი (საათობრივი ანაზღაურების წესით).
6. ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი (კათედრის გამგე) — 1 საშტატო ერთეული.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები რექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 55.


## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

**5 მარტი**

პირველი პროგრამით

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.45 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია სსრკ ისტორიაში, 12.30 — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „მიშკა, სერიოგა და მე“, 14.05 — „კინოაფიშა“, 14.30 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“ (მე-15 სერია), 15.25 — კინონარკვევი, 16.10 — მოსწავლეთათვის. კონცერტი, 16.40 — სატელევიზიო ჟურნალი „ასფურცელა“, 17.30 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: 1. „საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში“, 2. „მულტეკრანი“, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „წიგნი და მკითხველი“ — II გადაცემა. 20.35 — ფერადი ტელევიზია. ჰოკეი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ცსკა“ — „სპარტაკი“ (მოსკოვი) მესამე პერიოდი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.10 — ახალგაზრდობისათვის „გვეძახის ჩვენი ქვეყანა“ (განმეორებით), 22.00 „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი.

მეორე პროგრამით

18.20 — კინოპროგრამა. „მანგიშლაკი გზის დასაწყისი“ და „მიწა“, 20.00 — სატელევიზიო ფილმი „გორაკი“, 21.00 — მხატვრული ფილმი — „ალბატროსის“ უკანასკნელი რეისი“ (მეოთხე სერია).

**6 მარტი**

პირველი პროგრამით

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცეროდენას ეკრანი“, 18.35 — განცხადებები, 18.40 — კინონარკვევი — „არხი დილის შვიდ საათზე“ (ქართულ ენაზე), 18.55 — „პოეტი სტუდიაში“, 19.10 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.40 — კონცერტი, 20.10 — საქართველოს ალკკ XXIX ყრილობის დღიური, 20.40— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — სატელევიზიო ფილმი „შეხვედრა ბალის დვორიანისთან“, 21.35 — საქართველოს ალკკ XXIX ყრილობაზე — რეპორტაჟი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „სსრკ-50“ — „ქართული დრამატურგია მოსკოვის თეატრების სცენაზე“.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ზოგადი ბიოლოგია მემკვიდრეობის კანონები — გადაცემა მეორე (მეათეკლასელთათვის), 19.05— სკოლების დასახმარებლად — შრომითი პოლიტექნიკური სწავლება — დეტალები და მექანიზმები (მერვეკლასელთათვის), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ქიმიაში, 20.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფილოსოფიაში, 21.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — დოკუმენტური ფილმი „არქიტექტურა ექსპო-70“, 21.10 — მხატვრული ფილმი „ძველი სახლი“.

### თეატრები

**5 მარტი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გორდა (დღისით), ტოსკა (საღამოს); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სალამურა (დღისით), ფარისეველთა შეთქმულება (საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი**— სამანიშვილის დედინაცვალი (დღისით), მოულოდნელი სტუმარი (საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მაღლა ასწიეთ მზე (დღისით), კურკას ქორწილი (საღამოს).

რედაქტორი
დ. მეძლიშვილი.


კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-56-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები